საერთო გაზეთი

№16 (427) • 26 აპრილი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

კობა არაბული:

მსახვრალი ხელი, რომელიც ბლოკავს ეროვნული აღორძინების ყველა პროგრამას, უნდა მოიკვეთოს!

როგორ გაქრა მთის ფონდიდან 20 მილიონი ლარი ისე, რომ ფშავ-ხევსურეთში და მთიულეთ-გუდამაყარში ერთი პროექტიც არ განხორციელებულა?!

მამუკა არეშიძე:

რუსებმა, შეიძლება ვორონეჟი დათმონ, მაგრამ საქართველოს არ დათმობენ...

ალი ბაბაევი:

თუ ვინმე ბორჩალოს ავტონომიას ითხოვს, ის, პირველ რიგში, აზერბაიჯანელების მტერია!

ოქროს სათადარიგო

ის ჰგავს მაღალი კლასის მოთამაშეს, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ მაღალი კლასის მოთამაშეა, მწვრთნელი მაინც სათადარიგო სკამზე ასვენებს. ჯერჯერობით არავინ იცის, რა ჩანაფიქრი აქვს მწვრთნელს, ან რომელი მატჩისთვის ინახავს სათადარიგო სკამზე გამწესებულ ამ მოთამაშეს, თუმცა, უეჭველია, ეს მატჩი ადრე თუ გვიან აუცილებლად შედგება და ირაკლი ღარიბაშვილიც აუცილებლად გავა მოედანზე...

თურქებს რომ არ ვაწყენინოთ, დიდგორთან ჩვენი მეგობარი თურქების დამმარცხებელი დავით აღმაშენებელი რუსეთის აგენტად ხომ არ გამოვაცხადოთ?

„ეპისკოპოსები“

„გირჩის“ „კათალიკოს-პატრიარქი“ ჯაფარიძე, „გირჩის“ „მღვდელთმსახურები“ და „ეპისკოპოსები“ საქართველოს ახალ რჯულზე მოქცევას უპირებენ?!

ვის აირჩევს საფრანგეთი პრეზიდენტად – მარინ ლე პენს თუ ბრიჯიტის ქმარს, მაკრონს?

ვლადიმერ ბოჭაძე:

2018 წელს ნამდვილად ისტორიული არჩევნები იქნება!

„სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარების ცენტრის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ვლადიმერ ბოჭაძე ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც საკონსტიტუციო კომისიას საკუთარი ინიციატივა - საარჩევნო სისტემის მოდელი შესთავაზა, ამიტომ კონსტიტუციის პროექტზე მოსაზრების გაზიარება სწორედ მას ვთხოვეთ:

— საკონსტიტუციო კომისიას განსახილველად წარვუდგინეთ საარჩევნო სისტემის განსხვავებული მოდელი, რომელიც ე.წ. რეგიონალური, პროპორციული სიების მიხედვით, პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებას გულისხმობს.

— თუმცა, საკონსტიტუციო კომისიამ თქვენი პოზიცია არ გაიზიარა..

— ჩვენ ეს პოზიციები გავაცანით სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს, მათ შორის ოპოზიციურ პარტიებსაც, წარვუდგინეთ კომისიას და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს იყო ერთიანი გადაწყვეტილება, რომ ზოგადად, შერეული სისტემა გაგვეუქმებინა და პროპორციულზე გადავსულიყავით, მაგრამ მხოლოდ ერთიანი სიის შემთხვევაში, რაც როგორც ჩანს, ხელისუფლების პრინციპული პოზიცია იყო. საბოლოოდ, არა მხოლოდ ჩვენი მოდელი არ იქნა გათვალისწინებული, არამედ, მათ მიერ წარმოდგენილ მოდელშიც უარყვეს ჩვენი შეთავაზება, რომ საარჩევნო ბარიერი დაწეულიყო და გაუნაწილებელი მანდატების სხვა პრინციპით განაწილება მომხდარიყო.

— უკვე ცნობილია, რომ საკონსტიტუციო კომისიის დასკვნით სხდომაზე, საკონსტიტუციო ცვლილებებს კომისიის 43-მა წევრმა (8-ის წინააღმდეგ), მხარი დაუჭირა.

— დიახ, რამდენიმე წუთის წინ დასრულდა კენჭისყრა და უკვე ცნობილია, რომ ხელისუფლებამ ზემოთხსენებულ თემებთან დაკავშირებით, ჩვენი არც ერთი შენიშვნა არ გაითვალისწინა. საბოლოო გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით იქნება პროპორციული სიები, 5%-იანი ბარიერი რჩება და შემოვიდა ასევე საარჩევნო ბლოკების გაერთიანების აკრძალვა.

— პრეზიდენტის უფლებამოსილებებთან და არჩევის წესთან დაკავშირებით, რა აზრის ხართ?

— 2010 წელს, ნაციონალური მოძრაობის დროს განხორციელებული ცვლილებებით, რომლებიც ძალაში 2013 წელს შევიდა, ჩვენ ფაქტობრივად, საპარლამენტო მოდელზე გადავედით და ეს არც „ქართული ოცნების“ და არც საზოგადოების არჩევანი არ ყოფილა. ლეგიტიმაციის და ძალაუფლების განხორციელების თვალსაზრისით, ჩვენ გვაქვს სერიოზული სხვაობა იმიტომ, რომ პრეზიდენტს პირდაპირი წესით ვირჩევთ და ფაქტობრივად, მას არანაირი ფუნქციები არ აქვს. ჩვენი პრინციპული პოზიცია იყო, რომ ცვლილებები არ ყოფილიყო 2018 წელს, რადგან ერთი მხრივ, გამორიცხულიყო მარგველაშვილთან პიროვნული დაპირისპირების ფაქტორი და მეორე მხრივ, საზოგადოება მეტად ინფორმირებული შეხვედროდა ამ გადაწყვეტილებას. კარგია, რომ ხელისუფლებამ გაითვალისწინა საზოგადოების, პოლიტიკური პარტიების და სამოქალაქო სექტორის რეაქცია და 2018 წლის ბოლოს განსახორციელებელი კონსტიტუციის ცვლილებები პრეზიდენტის ნაწილში, ძალაში პრეზიდენტის არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდგომ შევა.

— 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე პრეზიდენტობის კანდიდატის მინიმალური ასაკობრივი ცენზი ძველებურად, 35 წელი იქნება?

— დიახ. 2018 წელს ჩვენ პირდაპირი წესით ავირჩევთ პრეზიდენტს და მხოლოდ შემდგომ არჩევნებზე მოხდება საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება. თუ ჩვენ გვჭირდება ძლიერი საპრეზიდენტო ინსტიტუტი, ამაზე მსჯელობა ახლა უნდა დაგვეწყო. ჯერ პრეზიდენტის ფუნქციები უნდა გაგვესაზღვრა და მერე არჩევის წესი, რადგან ის კი არ არის მნიშვნელოვანი, ვინ ირჩევს პრეზიდენტს, არამედ ის, თუ რა ფუნქციები გააჩნია მას.

პრეზიდენტი კვლავაც დარჩება სახელმწიფოს პირველი პირად და საგარეო ურთიერთობებში სახელმწიფოს წარმოადგენს. იქნება ქვეყნის მთავარსარდალი, როგორც ომიანობის, ასევე მშვიდობიან პერიოდში, დააკომპლექტებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საკონსტიტუციო სასამართლოს და ა.შ. ერთადერთი უფლებამოსილება, რაც მოაკლდება, არის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების წარდგენის ნაწილში.

— პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ წარმოებულმა კამპანიამ „კონსტიტუცია ყველასია“ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. რას ემსახურებოდა ეს კამპანია რეალურად?

— მე ალბათ ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც თქვა, რომ პრეზიდენტმა ოფიციალური საარჩევნო კამპანია დაიწყო. მისთვის საკონსტიტუციო ცვლილებები გახდა კარგი თემა იმისათვის, რომ მუდმივად დიალოგში იყოს საზოგადოებასთან, მუდმივად ჩანდეს ტელევიზიით, აკეთებდეს განცხადებებს, პოლიტიკური სპექტრი პასუხობდეს ამ განცხადებებზე და ა.შ. ეს იმას ნიშნავს, რომ გიორგი მარგველაშვილი ემზადება მეორე საპრეზიდენტო ვადისთვის.

პრეზიდენტმა ასეთი აქტიურობით ღია განაცხადი გააკეთა, რომ 2018 წელს კენჭისყრას აპირებს. ის, რომ კვლევებში მარგველაშვილს ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს, პირველ რიგში, უკავშირდება არა როგორც პოლიტიკოსის რეიტინგს, არამედ ცნობადობას, აქტიურობას და საზოგადოების თვალში ყოფნას. როგორც იცით, კონსტიტუციის პროექტის საერთო-სახალხო განხილვები უნდა დაიწყოს. შესაბამისად, ეს თემა კიდევ დიდი ხნის განმავლობაში იქნება აქტიური.

— თქვენს მიერ ხსენებული კვლევის რეიტინგები ბევრ კითხვებს აჩენს, ისევე, როგორც ათონელის ქუჩაზე, უფუნქციოდ დარჩენილი რეზიდენცია, რომლის რეკონსტრუქციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 26 მლნ. ლარი დაიხარჯა. იაფი საარჩევნო სისტემის შემქმნელისთვის არც ის უნდა იყოს საიდუმლო, რამდენი უჯდება ბიუჯეტს თბილისსა და ქუთაისს შორის დეპუტატების გადაადგილება..

— ზოგადად, ბიუჯეტს ბიუროკრატია და სახელმწიფო ინსტიტუტების შენახვა რაც შეიძლება ნაკლები უნდა უჯდებოდეს. გამოთავისუფლებული თანხები უნდა მოხმარდეს სოციალურ საკითხებს, ეკონომიკას და ა.შ. ბუნებრივია, პრეზიდენტს მისი ფუნქციებიდან გამომდინარე, ამხელა ხარჯები არ უნდა ჰქონდეს და ხარჯებში მხოლოდ შენობა არ იგულისხმება. საბოლოოდ, ალბათ ვიფიქრებთ, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან ერთად, იმ შენობაში სხვა ინსტიტუცია ან ინსტიტუციები განთავსდნენ, რომ ბიუჯეტს სახელმწიფო ბიუროკრატია მაქსიმალურად იაფი დაუჯდეს და სხვა პროგრამებისთვის მეტი თანხები დარჩეს. ამომრჩევლის დაკვეთა სწორედ ესაა, რომ დაუსრულებელი საუბრები პრემიებზე, დანამატებზე, ავტოპარკზე, ფუფუნების საგნებზე მივლინებებზე და ა.შ. საბოლოოდ დასრულდეს და ჩვენ ნამდვილად ვყავდეს ანგარიშვალდებული და რაც მთავარია, „იაფი შესანახი“ სახელმწიფო ინსტიტუციები. ამ შემთხვევაში, პრეზიდენტის ინსტიტუტზეც შეიძლება იყოს საუბარი მთავრობაზეც, პარლამენტზეც და ა.შ.რაც შეეხება პარლამენტის ადგილსამყოფელის განსაზღვრას, ალბათ საკანონმდებლო ორგანო რაღაც პერიოდის განმავლობაში, ორივე შენობაში გააგრძელებს მოღვაწეობას და მერე ყველაფერი დედაქალაქში გადმოვა, ვინაიდან, როცა საპარლამენტო მოდელზე და მთავრობის საპარლამენტო კონტროლზე ვსაუბრობთ, წარმოუდგებელია, მთავრობასა და პარლამენტს შორის მანძილი 230 კმ. იყოს. ეს შეუძლებელს გახდის საკომიტეტო მოსმენებს, მთავრობის ანგარიშვალდებულებას და ა.შ. ბუნებრივია, ეს პირველ რიგში ხარჯების შემცირებას უნდა უკავშირდებოდეს.

ყველას გვახსოვს 2010 წლის კონსტიტუციის ცვლილებები, როცა მხოლოდ კონსტიტუცია კი არა, მასში ცვლილებების შეტანის წესიც შეიცვალა. ნაციონალურმა მოძრაობამ ჩათვალა, რომ კონსტიტუციის შეცვლის ექსკლუზიური უფლება მხოლოდ მას ჰქონდა, რადგან ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ¾ ხმების გარეშე, კონსტიტუციას ვერ შეცვლიდა. 2016 წელს საარჩევნო მანდატები და ამომრჩევლის მხარდაჭერა ისე გადანაწილდა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მიიღო, თორემ შეიძლება ათეული წლები გასულიყო და იძულებული გავმხდარიყავით კვლავ ძველი კონსტიტუციით გვეცხოვრა...

ნელი თორდია
571 35 36 88

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

მსახვრალი ხელი, რომელიც ბლოკავს და აჩერებს ეროვნული ხსნისა და აღორძინების ყველა პროგრამას, უნდა მოიკვეთოს!

როგორ გაქრა მთის ფონდიდან 20 მილიონი ლარი ისე, რომ ფშავ-ხევსურეთში და მთიულეთ-გუდამაყარში ერთი პროექტიც არ განხორციელებულა?!

კრიზისულია ჩვენი დრო!

საოცრად კატასტროფულად შეკუმშულია ერის ენერგეტიკული აურა და საარსებო სივრცე: ერი განდევნილია საკუთარი მიწიდან, თითქმის ამოწურულია ადამიანური რესურსი, მძვინვარებს უმწეობის განცდა და დემოგრაფიული დეპრესია. მაგალითად:

ბატონიშვილის დროს ხევსურეთში 2000 კომლზე მეტი ცხოვრობდა.

700 ხევსური იცავდა ალექსანდრე ბატონიშვილს ლებაისკართან.

ახლა 7 ხევსურს ვერ ნახავ ხევსურეთში, შავი ლუდის დუღება რომ დაგჭირდეს.

ხევსურეთში ნახევრად აყრილი 90-მდე ოჯახი (კომლი) დარჩა, ერთ „ხრუშჩოვკაში“ რომ ჩაეტევა. ეს არის ერის ტგარედია!

ჩემს სოფელში 63 ნასახლარია!

მამაჩემი 35 კომლს მოესწრო!

მე 15 კომლს მოვესწარი. ახლა იქ ერთი კომლია დარჩენილი. წინა წლებში რამდენიმე ოჯახი ცდილობდა დაბრუნებას. ახლაც ცდილობს ორი ოჯახი (!!), მაგრამ სახელმწიფო არ ეხმარება. არც „მთიანეთის აღორძინების ფონდი“ აღმოჩნდა მათთვის ხელმისაწვდომი — არც სხვა რომელიმე ინვესტიცია. ეს არის ზოგადი ეროვნული კატასტროფა: ხელისუფლება ვერ ხედავს ერის საბედისწერო ხიფათს, ვერ აცნობიერებს ვითარების სიმწვავეს და ისტორიულ თემებში რადიკალური ზომების აუცილებლობას. ანალოგიური ვითარებაა რაჭა-ლეჩხუმში, მთიულეთ-გუდამაყარში, ხევში, თუშეთში, „ლიხსიქითურ“ თემებში.

„ევროპულმა კონტეინერმა“ და ევროლიბერალიზაციამ მთლიანად გაიწოვა ერის ენერგეტიკული და ადამიანური რესურსი საკუთარი მიწა-წყლიდან (სახლ-კარიდან) გაედინება ცოცხალი ერი და შემოედინება სხვა რასა, სხვა ენერგეტიკა, სხვა კულტურა — ანტიკულტურა, სხვა მენტალობა!

თუ ამ პროცესების შეჩერებას ვერ შევძლებთ, არ აგვცდება საკუთარ ქვეყანაში „სტუმრის“ და „მონის“ სტატუსი და ლტოლვილი ერის მწარე ბედისწერა!

* * *

ჩვენს განცვიფრებას და აღშფოთებას იწვევს, როგორ გაქრა მთის ფონდიდან 20 მილიონი ლარი ისე, რომ ფშავ-ხევსურეთში და მთიულეთ-გუდამაყარში ერთი პროექტიც არ განხორციელებულა (სხვაგან რა მოხდა, ვერ გეტყვით).

არ გააკარეს მთიანეთის მართვის (და ფონდის მართვის) ეროვნულ საბჭოს აკადემიის წარმომადგენლები (გნებავთ, მთის კომისიის თავმჯდომარე), არ გააკარეს მთიანეთის თემის თუნდაც ერთი რწმუნებული.

ვინც ქმნიდა და იბრძოდა მთის კანონის შესაქმნელად, ვინც იბრძოდა და მიაღწია მთის სათემო აღორძინების სახელმწიფო ფონდის დაარსებას, ის გაიყვანეს გვერდზე.

ფაქტობრივად, მოცემულს და მოპოვებულს გვართმევენ! ე. ი. „მთის ფონდზე“ ოცნებამ და კუთხეთა გადარჩენის იდეამ ამაოდ ჩაიარა (ანუ ჩაილურის წყალი დალია). მთას არ ეშველება, თუ იქ არ განხორციელდა რადიკალური ფინანსური ინტერვენცია — შოკური თერაპია! თუ იქ არ განხორციელდა კომპლექსური სათემო აღორძინების სამეურნეო, ეთნო-კულტურული პროექტები.

ჩვენ, მთიანეთის კომისიამ მოვამზადეთ ასეთი პროექტები, მაგრამ ეგრეთ წოდებულმა „ფონდის მართვის ეროვნულმა საბჭომ“ უარყო ჩვენი მოდელი. მან დაშალა ფონდი 5000-იან კვოტებად, დააქუცმაცა ისევე, როგორც „სოფლის დახმარების პროგრამა“ იყო დაქუცმაცებული და ორივეჯერ შედეგი ნულოვანი დადგა!

რისი გაკეთება შეიძლება აყრილ თემში 5000 ლარით? თითქმის არაფრის!

ჩირისა და კომპოტის და ბალახების ჩაით მთიანეთს ვერ გადავარჩენთ!

მაშ, რად გვინდოდა მთის აღორძინების ფონდი, თუ შიგ ბობოლა თაგვები ჩახტებოდნენ ფონდის გამოსახრავად და ერთი კაცის დაბრუნებასაც ვერ შევძლებდით ერთ თემში?

* * *

მე არ მეგულება რომელიმე ქვეყნის ხელისუფლება, რომელსაც საკუთარი ქვეყნის მეცნიერები, სწავლულები, მწერლები ეხვეწებოდნენ, სთავაზობდნენ აყრილ თემთა და კუთხეთა გადარჩენის პროგრამებს (!) და სახელმწიფო ყველაფერს ჯიუტად უკუაგდებდეს და უარყოფდეს! ამას შეიძლება ერის წინააღმდეგ მიზანმიმართული დანაშაული (და არა შეცდომა) ეწოდოს!

ჩვენ მივმართავთ პრემიერს და პარლამენტს (პრეზიდენტი არ გვყავს!) გააცნობიერონ ეს ვითარება და რადიკალურად შეცვალონ ფონდის ხარჯვის კრიტერიუმები და სათემო პროექტების მომზადების წესი! ტრადიციული სამეურნეო სისტემების და ეთნო-კულტურული გარემოს აღორძინებისთვის. ჩვენ წარმოუდგენელ აბსურდად გვეჩვენება ახალი „პოტიომკინის ქალაქების“ შენება ქალაქში სამთავრობო ბიუროკრატთათვის. ასეთი აბსურდული შენობა-ნაგებობანი პრეზიდენტის სასახლისა და ქუთაისის პარლამენტის ჩათვლით ისედაც თავსატეხად გვექცა!

ჩვენ ხელისუფლებას ვთავაზობთ იდეას: თუ ფული გაქვთ, ააშენეთ ფშავ-ხევსურეთში (შუაფხოსა და ბარისახოს არეალში) სამეურნეო-კულტურულ-საგანმანათლებლო „ქალაქი“ (სახელობო დარგების ლიცეუმით), ტრადიციული სამეურნეო სისტემებით და ახალი ინფრასტრუქტურებით. დავაყენოთ იქ პირუტყვის ჯოგები და ფერმები, მოვაწყოთ საკალმახეები, საფუტკრეები, ტურისტული ბლოკები, ლუდსახდელები, ხალხური რეწვის სახელოსნოები.

ხალხი დაბრუნდება!

თემი აღდგება!

სტუმარი მოვა!

ეს იქნება საქმე.

თუნდაც მთის 20 მილიონიანი ფონდიდან გავაკეთოთ ასეთი მოდელი ყოველი კუთხისთვის, გადარჩება ქვეყანა, აღორძინდება მთიანეთის ზოლი 4-5 წელიწადში. თუ არაფერს შევქმნით ერის სივრცეზე, ქალაქში ახალი „პოტიომკინის ქალაქი“ რას გვიშველის?!

მაგრამ არის და მოქმედებს იდუმალი მსახვრალი ხელი, ვინც ბლოკავს და აჩერებს ეროვნული ხსნისა და აღორძინების ყველა პროგრამას და იდეებს — ეს ხელი უნდა მოიკვეთოს!

* * *

ვფიქრობთ, სრულიად საქართველოს თემთა და ქალაქთა რჩეული ერის (დარბაზმა) პალატამ უნდა შეძლოს ქვეყნის შემობრუნება!

ქართველმა ერმა უნდა მოიკრიბოს ძალა ღვთის ნებით და დაუპირისპირდეს ხთონურ-სატანურ ენერგიებს.

ქართველი ერი უნდა შებრუნდეს საკუთარ თავში, საკუთარი ეთნო-კულტურული ისტორიის წიათში და დაიბრუნოს საკუთარი „სახელი“, რწმენა, ცნობიერება, განათლება (ცოდნა).

ერი უნდა განახლდეს წარსულიდან მოხმობილი ენერგიებით: სათემო-საადათო მორალით, ძველი სამეურნეო სისტემებით, უნიკალური ჯიშებითა და გენოფონდით.

* * *

მსოფლიოს ჩვენთან „დაბრძანებულ“ ელჩებსა და კონსულებს უნდა ვკითხოთ: ვინ და რატომ აფინანსებს ამ ურიცხვ არასამთავრობო ვიგინდარებს?!

ვინ არის მათი ლობი, მათი მკვებავი? რა უნდათ ჩვენგან?

— რას ნიშნავს საერთაშორისო გამჭირვალობა? (ყველგან ცხვირის ყოფას?)

— რას ითხოვს გენდერული ორგანიზაცია ჩვენგან?

— ვინ არის ლგბტ თემი?

— რა ფუნქცია აკისრია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, რა არის მისი მიზანი და ამოცანები?

ვინ არიან ესენ,ი სახელმწიფოში სახელმწიფოდ რომ იქცნენ?

თუ პოლიტიკური პარტიებია, დარეგისტრირდნენ და იყარონ კენჭი არჩევნებში, როგორც შალიკო-პალიკოები, ნაცები და გირჩები რეგისტრირდებიან, ხელისუფლება პარტიებს „გინებაში“ მილიონობით ფულს უხდის! დარეგისტრირდნენ პარტიებად და ამათაც გადაუხდის,. მაინც ასმენენ, იფურთხებიან, ილანძღებიან...

თუ არადა, შეწყვიტონ ეს აღმაშფოთებელი, დესტრუქციული საქმიანობა, პოლიტიკური ავანტურა, დემაგოგია, ლიბერასტული პროპაგანდა ქვეყნის საზიანოდ.

ქართველმა ხალხმა უნდა გადაფაროს ეს მოწამლული სივრცე და თავად ჩადგეს მათ ადგილზე ქვეყნის ხელისუფლების, პარლამენტისა და სასამართლოს მრჩევლად. ხალხმა უნდა განდევნოს ეს მოყაყანე ჭილყვავთა გუნდები...

კობა არაბული
მწერალი
ტელ: 595 57 99 43

ალი ბაბაევი:

თუ ვინმე ბორჩალოს ავტონომიას ითხოვს,ის, პირველ რიგში, აზერბაიჯანელების მტერია!

გვესაუბრება საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა კონგრესის თავმჯდომარე ალი ბაბაევი.

— ბატონო ალი, რას ფიქრობთ ხელისუფლების დამოკიდებულებაზე არაქართულ ეთნიკურ ჯგუფებთან. თქვენი აზრით, არის თუ არა ჩამოყალიბებული მათთან ურთიერთობის მიმართულება. თქვენ აზერბაიჯანელი ხართ. თქვენი თანამოძმეები გრძნობენ თუ არა მხარდაჭერებს ხელისუფლების მხრიდან და რაში გამოიხატება ეს?

— დიდი მადლობა ამ შეკითხვისთვის.

მე ვთვლი, რომ, როგორც პოლიტიკოსი, საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მცხოვრები ერთ-ერთი აქტიური აზერბაიჯანელი, კაცი, რომელიც სახალხო მოძრაობიდან მოვდივარ და დღემდე ჩემს მოქალაქეობრივ მოვალეობას ვასრულებ ჩვენი ქვეყნის წინაშე, აქამდე თქვენს მიერ დასმულ შეკითხვაზე, როგორც ეთნიკურ აზერბაიჯანელს, პასუხი არ მიმიღია.

სახელმწიფოს არ აქვს ერთიანი, თავის სახელმწიფო ენასთან დაკავშირებული კონცეფცია, თუ როგორ უნდა მიეცეს საშუალება ეროვნულ უმცირესობებს, შეისწავლონ სახელმწიფო ენა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში არ შეინიშნება ეროვნული უმცირესობების სახელმწიფო სტრუქტურებში ინტეგრაციის სტიმულირება.

— რას გვთავაზობთ, რა უნდა გეკეთდეს, რომ ეროვნული უმცირესობები სახელმწიფოს ორგანული ნაწილი გახდნენ?

— პირველ რიგში, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს სახელმწიფო ენის განსამტკიცებლად. ენას უნდა მიეცეს სტატუსი ისე, როგორც აზერბაიჯანში და სომხეთშია. იქ სახელმწიფო ენა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ითვლება.

90-იან წლებში 48 სოფელს სახელები შეუცვალეს ისე, რომ ადგილობრივმა ეთნიკურმა უმცირესობებმა არაფერი იცოდნენ.

შევარდნაძის მმართველობისას პარლამენტის 7 აზერბაიჯანელი დეპუტატიდან ერთმა იცოდა ქართული ენა.

სააკაშვილის პერიოდში 4 დეპუტატიდან — ერთმა.

რა ხდება ახლა?

აირჩიეს დეპუტატები და მათ შორის არც ერთმა არ იცის ქართული.

როგორც ხედავთ, დამოკიდებულება არ იცვლება და არავინ იცის, სხვა რომ მოვიდეს, სხვანაირად თუ მოიქცევა.

წლების წინ არსებობდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტი, სადაც ეროვნული უმცირესობებისთვის ცალკე ფაკულტეტები იყო გახსნილი. აზერბაიჯანელი ჩამოდიოდა დმანისიდან, ბოლნისიდან და როგორც ქართულს სწავლობდა, ისე აზერბაიჯანულს. მიდიოდა თავის სოფელში და ქართული ენის მასწავლებლადაც შეეძლო ემუშავა და აზერბაიჯანულისაც.

არა ვარ წინააღმდეგი ქართული სკოლების გახსნის აზერბაიჯანულ დასახლებებში და პირიქით, მაგრამ უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება ქართული ენის მიმართ. საქართველოში მცხოვრებმა აზერბაიჯანელმა უნდა შეისწავლოს მშობლიური ენა, ამავე დროს, ქართულიც უნდა ისწავლოს.

აზერბაიჯანულ მოსახლეობაში არიან ადამიანები, რომლებიც ფლობენ ქართულ ენას და სიამოვნებით ჩადგებიან ამ ქვეყნის სამსახურში, მაგრამ, რატომღაც, იგნორირებულნი არიან, სამაგიეროდ, რაც უნდა გასაკვირად მოგეჩვენოთ, ის ადამიანები არიან წინ წამოწეული, რომლებიც „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ თავდაუზოგავად იბრძოდნენ.

— არის თუ არა თქვენთვის ცნობილი, რომ საქართველოში არსებობს ორგანიზაცია „მსოფლიოს ყარაფაფახ-თურქთა გაერთიანება“, რომლებიც თურქულ ინტერესებს ემსახურებიან?

— დიახ, არსებობს ე. წ. შავფაფახიანთა გაერთიანება თურქეთში, ვითომდა საქართველოდან და ჩრდილო კავკასიიდან წასული თურქული ტომებით შედგენილი. ვითომდა იმ ადამიანების შთამომავლები, რომლებიც თავის დროზე სულთნების საუკეთესო მცველები იყვნენ. ამ მიმართულებით, როგორც აზერბაიჯანში, თურქეთში და სხვაგან, საქართველოშიც შეიქმნა ორგანიზაცია, რომელიც შავფაფახიანთა ტრადიციების და კულტურის პროპაგანდას ეწევა.

„ყარაფაფახ-თურქთა გაერთიანების“ იდეოლოგიას კარგად ვიცნობ. ახლახან თურქეთში აშუღთა ფესტივალი ჩაატარეს, მეც ვიყავი მიწვეული და ძირითადად, ტრადიციების შენარჩუნებაზე გაკეთდა აქცენტები, მაგრამ ყოველივე ამის უკან რა ინტერესიც დგას, რა აძლევს სტიმულს ამ მოძრაობებს, ვერ გავიზიარებ. მე, როგორც ქართულ-აზერბაიჯანული კონგრესის ხელმძღვანელი საქართველოში, საქართველოს მოქალაქე, ყოველთვის შევეწინააღმდეგები რომელიმე ქვეყნის დაფინანსებით საქართველოში სეპარატისტული გამოხტომების პროვოცირებას.

ზანქან მამედზადე, რომელიც ადრე ბორჩალოს ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, იგნორირებული იქნა სწორედ იმის გამო, რომ ის სეპარატისტულ მოწოდებებს ახორციელებდა უცხოური ორგანიზაციების მხარდაჭერით. ამ თემაზე ბაქოში ჩატარდა ყრილობა, სადაც გადაწყდა, რომ მამედზადე აღარ უნდა ყოფილიყო ბორჩალოს ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

ჩვენ მიგვაჩნია, რაც უნდა იყოს, ყველა ორგანიზაცია უნდა მუშაობდეს საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად და არა ვიღაცის ბნელი ინტერესების გამტარებლად.

დღეს ბორჩალოს ორგანიზაციას ქარამ მამედლი ხელმძღვანელობს, რომელიც მუდმივად იმას ამბობს, რომ საქართველოში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა უნდა დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია.

— ერთი მედიასაშუალების ცნობით, სწორედ „ყარაფაფახ-თურქთა გაერთიანება“ უჭერს მხარს ორგანიზაცია „ბორჩალოს“ იდეოლოგიას ბორჩალოს ტერიტორიის ავტონომიის გამოცხადებზე.

— ვისაც მიაჩნია საქართველოს კუთხეების ავტონომიის აუცილებლობა, ის არის საქართველოს მტერი.

მაგრამ მე შემიძლია პირადად დაგაკავშიროთ ქარამ მამედზადესთან და დაუსვით მას ნებისმიერი შეკითხვა.

ქარამს გასულ კვირასაც შევხვდი და შემიძლია გითხრათ, არავითარი ახლობლობა არც ერთ სეპარატისტულ ჯგუფთან არასდროს ჰქონია. აზერბაიჯანშიც და საქართველოშიც, რა თქმა უნდა, არსებობენ ჯგუფები, როგორც აზერბაიჯანელები, ისევე სხვები, რომლებსაც უნდათ, ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებში ბზარი გააჩინონ.

— თქვენ ამბობთ, რომ მორჩალოს ავტონომიას მომხრეები არ ჰყავს. აბა, რის ნიადაგზე გაჩნდა ეს ინფორმაცია პრესაში?

— მე საქართველოში 20 წელიწადია პოლიტიკაში აქტიურად ვარ ჩართული. 2007 წლიდან დაწყებული, 2011-12 წლებში შეუპოვრად ვებრძოდი ნაციონალებს. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ბევრი ეძებს დესტაბილიზაციას, იგივე **იმამ ჟულიევი**, რომელსაც, სავარაუდოდ, მესამე ქვეყნიდან აქვს ფინანსური მხარდაჭერა.

— მესამე ქვეყნიდან?

— დიახ, ეს ქვეყნები არიან რუსეთი, თურქეთი და სომხეთი. ისინი დაინტერესებულნი არიან ისეთი ისტორიულ-სტრატეგიული ქვეყნების, როგორებიც არიან აზერბაიჯანი და საქართველო, წინსვლის შეფერხებით, დესტაბილიზაციის გამოწვევით და ამ ნიადაგზე აკეთებენ ყველანაირი სახის ბინძურ განცხადებებს. ერთ-ერთ საინფორმაციო საგენტოში ვთქვი და თქვენი გაზეთის საშუალებითაც ღიად ვაცხადებ: გაგვცენ პასუხი — საქართველოს სომხები საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებთან ერთად რატომ არ აკეთებენ პრესკონფერენციას, რომ მოვუწოდოთ ორივე ქვეყნის ხელისუფლებას, ყარაბაღის კონფლიქტი მოგვარდეს მშვიდობიანი გზით. რატომ არ მოდიან ამ ნაბიჯზე?

ჩემს შეკითხვაზე პასუხი მე თვითონ მაქვს — ის ხალხი დაინტერესებულია საქართველოში დესტაბილიზაციით.

საქართველოში არის რუსეთისგან დაფინანსებული ქართული ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიებიც, რომლებმაც სხვა გამოსავალი ვერ ნახეს და ხელს იშვერენ კახ-ბელაქანში მცხოვრები მოსახლეობის არეულობისკენ.

დაინტერესებული ძალები არიან თურქეთშიც, რომ საქართველოში ეთნიკურ ნიადაგზე შუღლი გაღვივდეს.

ამას ჩვენ არ დავუშვებთ!

ყველგან ვიტყვი, აზერბაიჯანშიც, თურქეთშიც და ყველგან რომ ეს არ მოხდება საქართველოში!

საქართველო არის გამორჩეული ქვეყანა, სადაც ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები და მათ უნდა იზრუნონ ამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის, საქართველოს მომავლისთვის და აქ მშვიდობიანი ცხოვრებისთვის, მაგრამ საქართველოში დაცული უნდა იყოს მათი უფლებებიც.

კიდევ ვიმეორებ: გინდა აზერბაიჯანელი იყოს, გინდა თურქი, გინდ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი, ვინც საქართველოში დაიწყებს სეპარატისტულ გამოხტომებს, ის ნაძირალა ჩემი პირველი მტერი იქნება.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

მამუკა არეშიძე:

რუსებმა, შეიძლება ვორონეჟი დათმონ, მაგრამ საქართველოს არ დათმობენ, რადგან ისინი თვლიან, რომ თუ საქართველო დაიკარგება, შემდეგ ჩრდილო კავკასიასაც დაკარგავენ

გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე:

— ბატონო მამუკა, მავანი გვარწმუნებს, რომ რუსეთმა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიების ოკუპირებით უკვე მიიღო რაც სურდა და სხვა ინტერესი საქართველოსთან მიმართებით აღარ აქვს.

— ვინ ფიქრობს ასე?

— ეს ხელისუფლების წარმომადგენლებისგანაც მსმენია, რიგი ექსპერტებისგანაც და საზოგადოების გარკვეულ ნაწილშიც ეს აზრი მუსირებს.

— ეს არის სრული სისულელე. რუსეთს, აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიების ოკუპირებით, საქართველოში თავისი მისია არ ამოუწურია.

მინდა, საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს შევახსენო: ჩემთვის ცნობილია 1982 წელს რუსეთის გენ. შტაბის მიერ შედგენილი გეგმა თავდაცვითი ზღუდეების თაობაზე, სადაც ნატოსთან ომის შემთხვევაში სამხრეთის მიმართულებით სამი თავდაცვითი ზღუდე იყო განსაზღვრული. პირველი ზღუდე სახელმწიფო საზღვარი იყო, რომელიც თურქეთთან გადიოდა. იმ პერიოდში საბჭოთა კავშირი ემეზობლებოდა ნატოს წევრ მხოლოდ ორ ქვეყანას: ჩრდილოეთში — ნორვეგიას და სამხრეთში — თურქეთს. თურქეთის მნიშვნელობა ბევრად უფრო მეტი იყო და იგი ნატოსთან ომის შემთხვევაში მთავარ დამრტყმელ ძალად აღიქმებოდა. მეორე თავდაცვითი ზღუდე კავკასიის ქედზე გადიოდა. ეს ქედი როგორც ბუნებრივი თავდაცვითი ზღუდე ისე აღიქმებოდა, რომელსაც შესაბამისი გამაგრება სჭირდებოდა, მაგრამ სამხედრო ოპერაციების შემთხვევაში, ძალიან ეფექტური იქნებოდა. მესამე თავდაცვითი ზღუდე, მეორე ზღუდედან, დაახლოებით, 200-300 კილომეტრში გადიოდა ანუ, სტავროპოლისა და როსტოვის ოლქის ტერიტორიაზე. მაგრამ ეს ტაფობი ადგილი ბევრად უფრო რთული გასამაგრებელი იყო, მატერიალურადაც მეტ ხარჯს მოითხოვდა, ვიდრე მეორე ზღუდის გამაგრება, რომელიც ბუნებრივად არსებობდა. ამიტომ, განსაკუთრებული აქცენტი კავკასიის ქედზე კეთდებოდა. სხვათა შორის, პირველ ზღუდეს შემაკავებელი ფუნქცია ჰქონდა. მეორე ზღუდე კი ბრძოლის მთავარი ობიექტი იყო. საინტერესოა, ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც ამ დოქტრინაში ეწერა: იმისათვის, რომ მეორე ზღუდე მაქსიმალურად გამაგრებულიყო საჭირო იყო მის წინ 40 კილომეტრის სიღრმეში ტერიტორიის განსაკუთრებული კონტროლი. მის წინ 40 კილომეტრი ზუსტად ის ტერიტორიებია, რომელიც დღეს, რუსეთს, ნაწილობრივ, დაკავებული აქვს — აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიები. 1982 წლის გეგმა, პრაქტიკულად, დღეს ხორციელდება. უფრო ზუსტად, დღეს კი არა, უკვე, 25 წელია. რუსეთისთვის განსაკუთრებულად სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს სამხრეთ-კავკასიის კონტროლს. იგი, სამხრეთ-კავკასიას, შემდეგი მოსაზრებით აკონტროლებს: პირველი ესაა კონფლიქტები, მეორე — სამხედრო ბაზების არსებობა. სხვათა შორის,

2008 წლამდე სამხერდო ბაზები, რომლებიც კავკასიაში არსებობდა სხვადასხვა ხელმძღვანელობას — თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურებს ექვემდებარებოდა. მეორე ბაზა, რომელიც სომხეთშია სხვა სტრუქტურას ექვემდებარებოდა და ამიტომაც არ მიიღო 2008 წლის ომში მონაწილეობა. დღეს ყველა ბაზა რომელიც სომხეთში, აფხაზეთში, სამხრეთ-ოსეთში და ჩრდილოეთ-კავკასიაში არსებობს, ერთი — სამხრეთ მიმართულების სარდლობის ქვეშაა გაერთიანებული. და მესამე — კონტროლი გავლენის აგენტურის მეშვეობით ხორციელდება. რუსეთი სამხრეთ-კავკასიას ამ მეთოდებით აკონტროლებს. იმ შემთხვევაში თუ საქართველო ნატოში გაწევრიანდება, ზემონახსენები დოქტრინის მიხედვით გამოდის, რომ პირველი თავდაცვითი ზღუდე მოიშლება, ანუ, მეორე გახდება პირველი. ამიტომ, განსაკუთრებითი დაცვის მექანიზმები უნდა ამუშავდეს. აქედან გამომდინარე, იმის თქმა, რომ რუსეთს საქართველოს ინტერესი აღარ აქვს, სრული სისულელეა. რუსეთი საქართველოს არასოდეს მოეშვება იმიტომ, რომ მისი თავდაცვითი პოტენციალის გასაძლიერებლად სამხრეთ-კავკასიაში სიტუაციის ფლობა აუცილებლად სჭირდება. სხვათა შორის, რუსეთში თვლიან, რომ თუ საქართველო დაიკარგა, შემდეგ, ჩრდილოეთ-კავკასიაც დაიკარგება. აი, ასეთი მიდგომაა. ეს, პირადად, ჩემი ყურით მოვისმინე მატვიენკოსგან. მან თქვა: ჩვენ გვირჩევნია დავკარგოთ ვორონეჟი, ვიდრე საქართველო. იმიტომ, რომ საქართველოს თუ დავკარგავთ, ვორონეჟსაც დავკარგავთო. ასე, რომ ჩემო კარგო, უნდა გითხრა შემდეგი — რუსეთიდან ყურადღების მოდუნებას ვერ ვგრძნობ, უბრალოდ, მიდგომები შეიცვალა. საქართველოს ხელისუფლება წინამორბედისგან განსხვავებით აგრესიულ რიტორიკას მოკლებულია. იგი ჩუმად აკეთებს იგივე საქმეს დასავლეთის მიმართულებით და, სხვათა შორის, არანაკლებ აქტიურად, უბრალოდ, ამის აფიშირებას ნაკლებად ახდენს. ამ კუთხით, ოპოზიციის აქტივობა, იგივე, „ნაცმოძრაობის“ მაფიქრებინებს შემდეგს: ხელისუფლებას აქეზებენ ხმა ამოიღეთ, ილაპარაკეთ იმაზე, რასაც დასავლეთის მიმართულებით აკეთებთ, რათა რუსეთი უფრო გავაღიზიანოთ და გვეჩხუბოსო. პრაქტიკულად, „ნაცები“ ამბობენ: მოდი, რუსეთი გამოვიწვიოთო. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ რუსეთის აზრს ახმოვანებენ. ყველა მათგანს რუსეთის აგენტობას ვერ დავაბრალებ, მაგრამ მათი საქციელით სწორედ ასე გამოდის.

— თქვენ, 1982 წლის დოქტრინა გაიხსენეთ. რა რეალობა დგება ამ მიმართულებით საქართველოში ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში?

— ნატოში ვერ გავწევრიანდებით. მოდი, რეალობას შევხედოთ: დღევანდელი მოცემულობიდან ვერც რუსეთთან ურთიერთობას გამოვასწორებთ და ვერც ნატოში და ევროკავშირში გავწევრიანდებით. ახლა, ჩნდება კითხვა:

რა ქნას პეპელამ, სად წავიდეს? რეალობა ასეთია — ვერსად ვერ მიდის, ვერც აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთს ვიბრუნებთ. ჩვენი ამოცანაა პოზიციის ურყევობა – დასავლური ვექტორისკენ სვლა, ეს არის პოლიტიკური თამაშის ფორმა. ნატოში ვერ ვწევრიანდებით, სამაგიეროდ, დასავლეთისგან სხვა პრეფერენციებს ვიღებთ — მხარდაჭერას საერთაშორისო ასპარეზზე. წარმოიდგინეთ, რომ უცებ, პოზიცია შევიცვალოთ და რუსეთისკენ გადავიხაროთ. აფხაზეთს და სამაჩაბლოს არავინ დაგვიბრუნებს, მაგრამ არც დამცველი და მხარდამჭერი გვეყოლება ვინმე. როცა ჩვენ ვიცინით დასავლეთი აღშფოთდაო, ეს მხოლოდ აღშფოთება არ არის. როდესაც ანტი-რუსული სანქციების სისტემა დგება, იქ, ყოველთვის გათვალისწინებულია, რომ რუსეთი ოკუპანტია, მან საქართველოს ტერიტორიები წაართვა, რაზედაც რუსეთს არგუმენტი ვერ მოჰყავს. არსებული დევნილები დასავლეთისთვის რუსეთის პოზიციის აბსოლუტურ მიუღებლობას განაპირობებს. ასე, რომ ჩვენი პოზიცია, პოლიტიკა ურყევი უნდა იყოს იმ მიმართულებით, რაც ორიენტირებულია ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ აქტივობაზე. ეს უნდა გაგრძელდეს და იმ დროს ველოდოთ, როცა ვითარება შეიცვლება, სხვა გამოსავალი არ არის.

— მუდმივად ისმის: არ დაველაპარაკოთ რუსეთსო და სამაგიეროდ, საჩივლელად ხან აშშ-ს ადმინისტრაციასთან გავრბივართ, ხან — ევროკავშირთან. ეს მიდგომა რამდენად სწორია? აბაშიძე-კარასინის ფორმატი მოაგვარებს პრობლემას?

— აბაშიძე-კარასინის ფორმატი საკმარისი არ არის, როგორც საზოგადოების წევრს, ეს ფორმატი არ მაკმაყოფილებს, მაგრამ მოდი, ლოგიკა მოვძებნოთ. ხშირად ვამბობთ: პირველი პირები ერთმანეთს დაელაპარაკონო. აქვე, ჩნდება კითხვა — რაზე უნდა ილაპარაკონ? როგორც კი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ლაპარაკს იწყებ, რაც არ უნდა დელიკატური ფორმა მოძებნო, მათ ამის გაგონებაც არ უნდათ. გეუბნებიან: ეს პრობლემა გადაწყვეტილია და მორჩა, რაზეც გინდა ვილაპარაკოთ ამის გარდაო. ამაზე ლაპარაკი არ უნდათ. ვთქვათ, პრეზიდენტი ან პრემიერი პუტინთან ჩავიდეს, რაზე უნდა ილაპარაკონ?! ეს არის კითხვა, რაზეც პასუხი არცერთ მინისტრს არ აქვს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღდგეს? — კი ბატონო, მაგრამ ეს, მეორე მხარეს, არ უნდა. ასე, რომ ვერ ვერერობით, ამ მიმართულებით, შედეგი არ გვექნება.

მე რუსოფილს, რუსეთის აგენტს და ათას უბედურებას მეძახიან. ნიუანსები კარგად ვიცი, ამიტომ ვთვ-

6 გვ.



რუსებმა, შეიძლება ვორონეჟი დათმონ, მაგრამ საქართველოს არ დათმობენ...

5 გვ.

ლი, რომ ახლა, რუსული პოლიტიკის ჭკუაზე მოყვანა შეუძლებელია. იგი დათმობაზე რომ წავიდეს, მაშინ ისეთივე მდგომარეობაში უნდა იყოს, როგორც 1990 წელს.

— ბატონო მამუკა, აშკარაა თავის გეგმებზე რუსეთი ხმამაღლა არ საუბრობს, თუმცა იგი მუშაობს აჭარაში, ქვემო ქართლში, სადაც ბორჩალოს ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის თაობაზე მოძრაობა დაიწყო. მათ უკვე ორგანიზაციებიც აქვთ აზერბაიჯანში, თურქეთში. რა ხდება ამ მიმართულებით?

— დიახ, ასეთი ორგანიზაციები არაერთია. იცით, რაშია საქმე: როგორც ჯავახეთში, ერევნის ნების გარეშე, ავტონომიის მოთხოვნით, მასიური გამოსვლები ვერ დაიწყება, ასევეა, ბაქოშიც. ბაქოს ნების გარეშე, რუსების ჩარევის მიუხედავად, არაფერი მოხდება. ახლა, ავხსნი რატომ არ არის ეს თემები არც ერევნის და არც ბაქოს ინტერესებში. იმიტომ, რომ სომხეთი, აზერბაიჯანის და თურქეთის მხრიდან, ბლოკადაშია. მას შეუძლია რასაც ცხრა სახელმწიფოს წარმომადგენელი ჩვენს ქვეყანაში აკეთებს. ეს უფრო მნიშვნელოვანია — ეკონომიკური ექსპანსია, ვიდრე პოლიტიკური აქტიურობა. ჩვენ ვხედავთ, რომ თურქეთის ეკონომიკურ ექსპანსიას და სხვა მეზობლებისას, ზოგიერთი ქართველი ეჭვის თვალით უყურებს, ზოგი მიესალმება. ვერ ხვდებიან, რომ ეს მომავალში პოლიტიკური ექსპანსიის საწინდარი გახდება. მაგრამ რუსეთის ქმედებები ყველამ იცის იმიტომ, რომ მას ტვინი არ ჰყოფნის, რათა დაახლოებით, იგივე გეგმით იმუშაოს და არა ძალის გამოყენებით. თუმცა, არც ეკონომიკური და განსაკუთრებით, ენერგეტიკული ექსპანსიისგან იკავებს თავს. იცით, რომ ენერგეტიკის 80% რუსების ხელშია. ჩვენ ვერ ვაკეთებთ ვერაფერს, თორემ ჩვენს ტერიტორიაზე ეკონომიკური ექსპანსიონისტური იდეების რეალიზაციისთვის ცხრა სახელმწიფო აქტიურად მუშაობს.

— რამდენად შესაძლებელია რუსეთი და თურქეთი საქართველოს თემაზე ერთობლივად მუშაობდნენ, თუნდაც, ქვემო-ქართლის თემაზე?

ეკონომიკის განვითარების სტიმული — პროდუქტი მხოლოდ ორი მიმართულებიდან მიიღოს, ესაა საქართველო და ირანი. მოდი, შევხედოთ, რამდენად აწყობს ერევანს ჯავახეთში არეულობა მითიური, ახალი ტერიტორიის მიერთების გამო და საქართველოდან კიდევ დამატებით ბლოკადა?! ასე, ყველა საავტომობილო, სარკინიგზო მარშუტი, რომელიც ერევნისკენ მიდის ჩაიკეტება და შიმშილით სული ამოძვრებათ. ბაქოს ნავთობი და გაზი ვის რაში სჭირდება თუ ევროპამდე არ იქნება მიტანილი — ირანსა და კასპიის ზღვის აუზში ვერ გაყიდის. მაშინ რუსეთს კაბალური პირობებზე უნდა დასთანხმდეს როგორც ადრე, საბჭოთა კავშირის პერიოდში, რაც ბაქოს არ აწყობს. ამიტომ, მას მარნეულის აზერბაიჯანელების პატარა მარგინალური ჯგუფი არ აინტერესებს. ჩვენი მეზობელი ქვეყნები თავისი ინტერესების გატარებას, გაზრდას საქართველოს ტერიტორიაზე და მომავალში პოლიტიკური ამბიციების წამოყენებას (თუ საქართველო ამის საშუალებას მისცემს), ძალიან კარგად ახერხებენ. მაგრამ მათ ახლა, ეს გამოსვლები, მიტინგები არ უნდათ. ისინი ამას სხვანაირად აკეთებენ, მაგალითად, მიწების ყიდვით, თავისი ეკონომიკური სუბიექტების შექმნით, რომელიც ქართულ ეკონომიკაში აქტიურ როლს თამაშობს,

— ამ ქვეყნებს ისეთი ისტორიული დაპირისპირება აქვთ, იმდენად ჯახია მათ ინტერესებს შორის კავკასიასა და შავი ზღვის აუზთან მიმართებაში, რომ გამორიცხულია, მათ, ხანგრძლივი პერსპექტივის თვალსაზრისით რაიმეზე მოილაპარაკონ. შეიძლება ეკონომიკურ, ვაჭრობის თემებზე მორიგდნენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს პოლიტიკაში გადავა, აქ მათი ინტერესები არასდროს ემთხვევა. ქვემო-ქართლში მათი ინტერესების დამთხვევა გამორიცხულია. აჭარის ტერიტორიაზე თურქეთი და რუსეთი ხმალამოღებული ებრძვიან ერთმანეთს. მაგალითად, ძალიან კარგი მაჩვენებელი იყო 11 მარტის ექსცესი. კარგად ვიცი, რომ სხვადასხვა ძალა ანალოგიურისთვის ემზადებოდა, ოღონდ სხვა გზით. საქმე ისაა, რომ დაინახეს ხალხის აქცია, გადაწყვიტეს თავის რესურსი იმ დღეს გამოეყენებინათ, ერთმანეთს ხელი შეუშალეს და მიიღეს ის, რაც მიიღეს. თორემ, იქ, ორი ძალა იყო ჩართული, ეს არ იყო მხოლოდ „ნაცმოძრაობა“. ბოლოს „ნაცები“ პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩნენ და სიტუაციას გაერიდნენ იმიტომ, რომ მიხვდნენ ხელმძღვანელი სხვა იყო და არა „ნაცმოძრაობა“.

— ბატონო მამუკა, როცა ამ პრობლემაზე ვსაუბრობთ, მინდა დუგინის განცხადებაც გავიხსენოთ. მან თქვა: აფხაზეთი და სამაჩაბლო გავათავისუფლეთ, ახლა, სხვების ჯერიაო.

— ამ კუთხით, საფრთხეები არის. შემიძლია საქართველოში მხოლოდ ერთადერთი რეგიონი გითხრათ, სადაც ასეთი კონსოლიდირებული საფრთხე არ ჩანს (ან რუსული, ან თურქული ან სხვა ვინმეს აქტიურობა), ესაა იმერეთი. დანარჩენი, აბსოლუტურად, ყველგანაა გარკვეული სხვადასხვა ტიპის საფრთხეები — სამცხე-ჯავახეთში, შიდა-ქართლში, ქვემო-ქართლში, კახეთში, სამეგრელოში, გურიაში. გურიის რამდენიმე მკვიდრი საერთოდაც, „აი-სი-სის“ რიგებშია. აღარაფერს ვამბობ აჭარაზე. ამიტომ, როგორც საქმეში ჩახედული ადამიანი ძალიან განვიცდი, როცა ვხედავ, ზოგიერთი პროცესი უპატრონოდაა მიტოვებული. სამეგრელოში სახიფათო სიტუაციაა. ის მარგინალური ჯგუფი, რომელიც სამეგრელოს ავტონომიას ითხოვდა, დღეს, საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი გახდა.

აფხაზეთში შეყვანილი სამხედრო ტექნიკა მარტო მთელს საქართველოს კი არ აკონტროლებს, არამედ იქ, არის რამოდენიმე ტექნიკური საშუალება, რომელიც მთელს წინა აზიას აკონტროლებს ირანამდე და აღმოსავლეთ-ევროპის ნაწილს — რუმინეთს და ბულგარეთს. ეს არის შორეული ავიაციის პოლკი, რომელიც გუდაუთაში დგას და რადიო ლოკაციური სადგურები, რომლებიც ეშერაში და გუდაუთაში დგას, ასევე, სარაკეტო დანადგარები, რომლებიც ბაქომდე უწევს. ეს არ არის მარტო საქართველოს კონტროლი, არამედ მთლიანად რეგიონის. მე, დიდ კავკასიას ვგულისხმობ, სადაც შედის ჩრდილო-თურქეთი და ა.შ. აფხაზეთში ყველა ეს ძლიერი სარაკეტო კომპლექტია შეყვანილი, რომელიც რუსებს აქვთ.

— ბატონო მამუკა, როგორც საუბრიდან გამოიკვეთა, რუსეთი აგრძელებს ჩუმ დივერსიას და დესტაბილიზაციის წინაპირობას. რამდენად არიან ამაში ჩართულნი ქართული ძალებიც. საბჭოთა კავშირის დროიდან გადმოყოლილი აგენტურა ისევ ხომ არ დარჩა სტრუქტურებში?

— ქართული ძალა, ალბათ, ჩარეულია. ერევანში კონფერენციაზე ერთ-ერთი ქართული ორგანიზაციის გამოსვლა ვნახე, ისეთი რაღაცები ილაპარაკეს იქ რომ ვყოფილიყავი ტრიბუნასთანვე თავს გავუტეხავდი. აქ გასუსულები არიან. მაგრამ ისინი ამინდს არ ქმნიან. უფრო სახიფათო თემაა ის ჩინოვნიკები, რომლებიც სახელმწიფო უწყებაში მუშაობენ, რუსეთის გავლენის აგენტები არიან ანდა კორუმპირებულნი და ადვილი სამართავნი ხდებიან არამარტო რუსეთის, არამედ სხვათა მიერ.

ადამიანები რომლებიც საკუთარი ჯიბის ინტერესებს საქართველოს ინტერესებს ანაცვალებენ, აქედან გამომდინარე, ფული უყვართ და სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების მხრიდან იოლი სამართავები არიან, უკვე მე-5 კოლონაა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

რისი ეშინიათ ელიავას ბაზრობაზე დასაქმებულ ადამიანებს?

„ელიავას ბაზრობის მესაკუთრეები და მოვაჭრეები ფიქრობენ, რომ მათაც იგივე საფრთხე ელით, ამიტომ ბაზრობაზე სარეალიზაციოდ გამზადებული საქონელის გატანისაც კი ეშინიათ“

ე.წ. ელიავას ბაზრობის სხვა ადგილზე გადატანასა და მის ნაცვლად, რეკრეაციული ზონის მოწყობის გეგმას კატეგორიულად არ ეთანხმებიან ბაზრობის მესაკუთრეები და მოვაჭრეები. ისინი მათ საკუთრებაში არსებული ბიზნეს-ობიექტების ქალაქის გარეუბნებში გადატანას კერძო საკუთრებისა და ბიზნესის ხელყოფად აფასებენ.

შეგახსენებთ, რომ ელიავას ბაზრობისთვის ადგილის შეცვლის მცდელობა ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სატრანსპორტო ნაკადების მოწესრიგების მიზნით, ბაზრობის დაარსების დღიდან ყველა ხელისუფლებას ჰქონდა, თუმცა რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, ჩანაფიქრის განხორციელება არ მოხერხდა.

ელიავას ბაზრობაზე დასაქმებულთა მომართვის საფუძველზე, „ხალხის პარტიის“ ლიდერმა განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნა, რომ ბაზრობის მესაკუთრეები და მოვაჭრეები გარკვეული ადამიანების მხრიდან ზეწოლისა და შანტაჟს განიცდიან და მათი ქონება საფრთხეშია. ალექსანდრე კობაიძის თქმით, ბაზრობაზე დასაქმებული ადამიანები შიშობენ, რომ შესაძლოა, „ბავშვთა სამყაროში“ დასაქმებული ადამიანების ბედი გაიზიარონ:

„ჩვენ დავიკავშირდნენ ელიავას ბაზრობაზე დასაქმებული ადამიანები და გვითხრეს, რომ მათთან ბაზრობის ადმინისტრაციასთან დაახლოებული პირები მიდიან და აფრთხილებენ თუ თქვენი ნებით თუ არ გადახვალთ, პრობლემები შეგექმნებათო. ამ ადამიანების ვინაობას არ ამხელენ, თუმცა ეშინიათ, რომ ელიავას ბაზრობაზეც იგივე არ მოხდეს, რაც ცოტა ხნის წინ „ბავშვთა სამყაროში“ მოხდა. ღმერთმა არ ქნას, ასე მოხდეს, თორემ ათასობით ოჯახი და ათიათასობით ადამიანი ულუკმაპუროდ დარჩება და ეს ბიზნესისა და ბაზრობაზე არსებული ქონების განადგურების პირველი შემთხვევაარ იქნება. ყველას გვახსოვს 2015 წელს ელიავას ბაზრობაზე საღებავების საწყობის გადაწვა, გაურკვეველ მდგომარეობაში, სავაჭრო ცენტრი „საბას“ შენობის დაწვა, სულ ახლახან, ასევე გაურკვეველ ვითარებაში დაიწვა „ბავშვთა სამყაროს“ შენობაში განთავსებული საბაჭრო ობიექტები. მწარე გამოცდილებისა და გარკვეული გაფრთხილებების საფუძველზე, ელიავას ბაზრობის მფლობელებს და მოვაჭრეები ვარაუდობენ, რომ მათაც იგივე საფრთხე ელით, ამიტომ ბაზრობაზე სარეალიზაციოდ გამზადებული საქონელის გატანისაც კი ეშინიათ. სხვადასხვა ადგილებში აქვთ შენახული და ადგილზე მყიდველის გამოჩენის შემთხვევაში მოაქვთ.“

ალექსანდრე კობაიძე დარწმუნებულია, რომ ხელსაყრელი პირობებისა და გარანტიების შემთხვევაში, ბაზრობის მესაკუთრეები და მოვაჭრეები ადგილის შეცვლას დათანხმდებიან და ხელისუფლებას და შესაბამის ორგანოებს ამ საკითხით საფუძვლიანად დაინტერესებას და ბაზრობაზე დასაქმებულ ადამიანებთან გასაუბრებას თხოვს.

„თუ შესაბამისი პირობები ექნებათ, ეს ადამიანები გადასვლაზე უარს არ ამბობენ. მათ ჭირდებათ ბაზრობის ადმინისტრაციისა და ხელისუფლების გარანტიები, რომ მოტყუებული არ დარჩებიან. ამიტომ, კარგი იქნება, თუ ხელისუფლების წარმომადგენლები და შესაბამისი ორგანოები დაინტერესდნენ ვინ ემუქრება ელიავას ბაზრობაზე დასაქმებულ ადამიანებს, რა გარანტიებს ითხოვენ ისინი ტერიტორიის დატოვებისთვის და ა.შ.“

შეახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ერთ-ერთმა ავტორმა განაცხადა, რომ ელიავას ბაზრობის ტერიტორიაზე, სავარაუდოდ, სარეკრეაციო ან საგამოფენო სივრცე განთავსდება. მისი განმარტებით, ცვლილებები მხოლოდ ბაზრობაზე მომუშავე ადამიანების უფლებების დაცვით განხორციელდება.

ნელი თორდია
571 35 36 88

რა ხდება სოფლის მეურნეობის კვლევით ცენტრში?

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (დირექტორი ლევან უჯმაჯურიძე) თანამშრომელთა მიმართ 2014-2016 წლებში გაცემული ხელფასები, პრემიები, სახელფასო დანამატები, კვლევითი საქმიანობა და ეფექტური მმართველობის საკითხები შეისწავლა. კვლევითი ცენტრი საკაშვილის მმართველობის დროს გააპარტახეს, შეწყდა ყოველგვარი მეცნიერული კვლევები, ერთი სიტყვით ეს დაწესებულება პრაქტიკულად განადგურებული იყო. განახლებული კვლევითი ცენტრი ჯიღაურას საცდელ ბაზაზე (მცხეთის რაიონი) ჩამოყალიბდა, რომელიც ასევე გაპარტახებული იყო და მისი აღორძინება ბიძინა ივანიშვილმა ითავა. მან პროექტის განხორციელება საკუთარი სახსრებით 2006 წელს დაიწყო და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მთელი ბაზა, რომელიც რამდენიმე ათეული მილიონი ლარი დაჯდა, სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა. ბატონი ბიძინა იმედოვნებდა, რომ ამ ცენტრში მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევები ჩატარდებოდა, რაც ადგილობრივ ფერმერებს მეურნეობის სწორად დაგეგმვაში დაეხმარებოდა. სამეცნიერო-კვლევით ცენტრს თავის ვებგვერდზე კი აქვს განთავსებული ინფორმაცია, რომ აღდგენილია უამრავი ქართული ვაზის და ხორბლის უძველესი ჯიში, მაგრამ „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ ჩატარებული მონიტორინგით დგინდება, რომ არც ისე ეფექტურად მუშაობს ბიუჯეტიდან მსუყედ დაფინანსებული კვლევითი ცენტრი, როგორც მისი მესვეურნი გვიმტკიცებენ.

არჩილ ნადირაძე: ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება სახელმწიფო ორგანოების მონიტორინგია. იქიდან გამომდინარე, რომ სოფლის მეურნეობა ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი დარგია, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიც სტრატეგიული დანიშნულებისაა და ამჯერად მონიტორინგისთვის ის შევარჩიეთ. კვლევა თავად ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით ჩატარდა, ჩვენ აქცენტი არ გაგვიკეთებია პერსონების იდენტიფიცირებაზე ვისი დაფინანსებით შეიქმნა ცენტრი, ბიძინა ივანიშვილისთვის სოფლის მეურნეობა პრიორიტეტული სფერო იყო და არც არის გასაკვირი, სახელმწიფოს თუ აჩუქა მის მიერ აღორძინებული ბაზა. ახლა კვლევით ცენტრს, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, სახელმწიფო აფინანსებს.

2016 წელი – სახელფასო ანაზღაურება 1.566.410 ლარი, დანამატი 169.441 ლარი, პრემიები – 253.245 ლარი. ყველაზე მაღალი ანაზღაურება ცენტრის დირექტორის სახელზეა გაცემული, ეს არც იქნებოდა გასაკვირი, უბრალოდ, ასეთი შთამბეჭდავი ციფრები რომ არ იყოს. 2014-2016 წლებში დირექტორის შრომითმა ანაზღაურებამ ჯამში შეადგინა 141.695 ლარი. ეს ციფრი მისი სტატუსიდან გამომდინარე, ძალიან მაღალია, სხვა იგივე სტატუსის მქონე თანამდებობის პირთა ანაზღაურებასთან შედარებით, როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ისე სხვა უწყებაში, რეკორდული ციფრია. ასევე შთამბეჭდავია სხვადასხვა სფეროებში დირექტორის მოადგილეების, მრჩევლების, თანაშემწეების, დეპარტამენტების უფროსებისა და მათი მოადგილეების სახელფასო ანაზღაურება, პრემიები და დანამატები. აქვე ყურადღება მინდა გავამახვილო შტატგარეშე თანამშრომელთა თემაზე, 2014 წელს მათი რაოდენობა 11-დან 65-მდე გაიზარდა და მათ მიმართ ხელფასის სახით 56.502, ხოლო პრემიის სახით 44.552 ლარი გაიცა.

– ჩვენისთანა ეკონომიურად შეჭირვებული ქვეყნისთვის კი არის მაღალი ხელფასები, მაგრამ თუ მართლაც მუშაობს ეს ხალხი, ანაზღაურებაც ხომ მეტნაკლებად ნორმალური უნდა ჰქონდეს?

– მისასალმებელია ცენტრის ჩართულობა ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქტების საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაციისა და წარმოჩენის კამპანიებში, სოფლის მეურნეობა სტრატეგიული მიმართულებაა და აუცილებელია ჩვენი პროდუქტი, ღვინო იქნება ეს, ხილი, ციტრუსი თუ ბოსტნეული საერთაშორისო ბაზარზე გავიდეს. ამ მიმართულებითაც ცენტრის მუშაობა ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ძირითადად ექსპორტის კუთხით მუშაობენ, რაც არ კმარა. ცენტრს სხვა მიზნები და ამოცანებიც აქვს, იგივე ჯიშების გამოყვანა, მეცხოველეობის დარგების განვითარება და ა.შ., ამ მხრივაც არის რაღაც გაკეთებული, მაგრამ იმდენად მცირე, რომ დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება.

ცენტრის საქმიანობაში მონაწილეობის საჭიროება არ დგას. ცენტრის მხრიდან დასაბუთებული არ არის, რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება შტატგარეშე თანამშრომელთა რიცხოვნობა, რამდენად საჭიროა იდენტურ პოზიციებზე ერთი და იგივე თანამდებობრივი სტატუსის მქონე პირთა დასაქმება, რამდენად აქვთ მათ რეალური უფლებამოსილება. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება იცნობდეს ცენტრის სამომავლო პოზიციას, ასევე მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს სახელმწიფო აუდიტის დასკვნაც, რომელიც გამორიცხავს ვარაუდებს ცენტრში დასაქმებულთა პარტიული კუთვნილებისა თუ შესაძლო ნეპოტიზმის თაობაზე. ამიტომ მივმართეთ სახელმწიფო აუდიტს მოთხოვნით, რომ მოხდეს ცენტრის აუდიტორული შემოწმება. აუდიტის სამსახურის პრეროგატივაა, სახელმწიფო ორგანიზაციებში ფინანსური ხარჯთაღრიცხვების შემოწმება, რამდენად მიზნობრივად იხარჯება საბიუჯეტო თანხები. გონივრული ეჭვი გვაქვს, რომ არ არის გამორიცხული ხსენებულ ცენტრში ნეპოტიზმისა და პარტიული ნიშნით დასაქმება ხდებოდეს.

ნაციონალების მმართველობისას დამკვიდრდა პარტიული ნიშნით და ნათესაობა-მეგობრობით ხალხის დასაქმება, საზოგადოებას დიდი ეჭვი ჰქონდა, რომ ყველა უწყებაში ამ პარტიის წარმომადგენლები იყვნენ დასაქმებული. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის გაბერილი შტატებიც იმიტომ იწვევს ეჭვს.

სხვათა შორის, ჩვენმა ორგანიზაციამ მიმდინარე წლის თებერვალში, ხსენებული სამეცნიერო-კვლევით ცენტრის წინააღმდეგ კომპანია „ქისკოს“ საქმეზე პრეცედენტული სასამართლო დავა მოიგო. მცხეთის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა „ქისკოს“ სასარჩელო მოთხოვნები, რომლის თანახმადაც ცენტრი „ქისკოს“ აუნაზღაურებს ხელშეკრულების შეწყვეტით მიყენებულ ზიანს, ამავდროულად, ბათილად იქნა ცნობილი ამ კომპანიის მიმართ უსაფუძვლოდ დაკისრებული პირგასამტეხლო.

სასამართლომ ცენტრს დააკისრა ზიანის ანაზღაურება და გაუქმდა კომპანიაზე დაკისრებული პირგასამტეხლო. ჩვენმა ორგანიზაციამ სასამართლოს 2015 წლის ოქტომბერში მიმართა. ჩვენ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის არამართლზომიერი და უკანონო მოქმედებების თაობაზე, წერილით ვაცნობეთ პრემიერ-მინისტრს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს. ჩვენ ამ მიმართვებში კონკრეტულ თანამდებობის პირებზეც ვსაუბრობდით, რომლებიც ხელოვნურად აფერხებდნენ კომპანია „ქისკოს“ საქმიანობის აღიარებას და დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებს იღებდნენ.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

თურქებს რომ არ ვაწყენინოთ, დიდგორთან ჩვენი მეგობარი თურქების დამმარცხებელი დავით აღმაშენებელი რუსეთის აგენტად ხომ არ გამოვაცხადოთ?

1121 წლის 12 აგვისტო — ძლევაი საკვირველი!

მტერი შემოვიდა თრიალეთს, მანგლისსა და დიდგორთა, რომელიც თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილსა...

მტრის მიერ თრიალეთისა და მანგლისის შერჩევა განპირობებული იყო იმით, რომ ადვილად წამოვიდოდა თბილისზე მცხეთის შემოვლით. დავით აღმაშენებელმა ჯარი დიდგორზე ორ მთას შუა დააბანაკა.

ფრანგი გოტიე და არაბი იბნ ალ-სირი ერთნაირ ცნობებს გვაწვდიან, რომ ბრძოლის დაწყებამდე 200 მეომარი დაწინაურდა ქართველთა ლაშქარიდან და გაემართა მტრისკენ. (გოტიე მათ ფრანგებად მიიჩნევს, იბნ ალ-სარი — ყივჩაღებად) თურქებმა იფიქრეს, რომ დასანებებლად მიდიოდნენ და მშვიდად დაელოდნენ მათ მიახლოებას. ახლოს მისულმა მეომრებმა ისრები დაუშინეს მტრის წინა რიგებს და შეირყა მტრის ლაშქარი. გაურკვევლობაში ჩავარდნილი უკანა რიგები დაიბნენ, აირივნენ, უკან დახევა და ერთმანეთისთვის ვნების მოტანა დაიწყეს გაქცეულებმა. ქართველები დაედევნენ

გაქცეულებს და ათი ფარსაგი (დაახლოებით 70 კმ) სდიეს, ხოცავდნენ და ტყვედ იგდებდნენ მტერს. დიდძალი ალაფი დარჩათ ქართველებს... იმდენად დიდი რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა მტერს (300-400 ათსი/55600), რომ დავითის ისტორიკოსმა დიდგორის გამარჯვებას „ძლევაი საკვირველი“ უწოდა. ქართველი ერი ყოველთვის მოწიწებით იხენიებდა დიდგორის გმირებს და მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად ეროვნული დღესასწაული „დიდგორობა“ დააწესა.

2017 წელი — თურქეთი გვკარნახობს „დიდგორობა“ ვიზეიმოთ თუ არა?!

„ხრესილის ბრძოლა“ გლოვის დღედ ხომ არ გამოვაცხადოთ, ჰკითხეთ, აბა, მოძმე თურქეთის საელჩოს... რატომაც არა, 45 000 „მოძმე“ თურქი მოკვდა და გამოსაგლოვია, აბა, არა? მოდიოდნენ საწყლები მეგობრულად, დახვდნენ ეს ველური ქართველები, აუშარდნენ და დახოცეს... ვაკის პარკში „უცნობი ჯარისკაცის“ ადგილას „უცნობი ასკერის“ ძვლები ხომ არ დავასვენოთ?

საუკუნეების წინ სტამბულის მონათა ბაზარზე ქართველები საუკეთესო საქონლად ითვლებოდნენ, ადვილად ხელმისაწვდომებიც იყვნენ და მიერეკებონენ კიდეც ქალსა თუ კაცს. რა ექნა თვისტომთაგანვე გაყიდულ ქართველს, რით ეშველა საკუთარი თავისთვის თურქეთისკენ მიმავალი გემის ერდოზე ხელ-ფეხ შეკრულს და მზის გულზე დაგდებულს? — ... და სწავლობდნენ პოტენციური მონად გასაყიდი კოლხები ხელ-ფეხშეკრულ ცურვას და ასწავლიდნენ შთამომავლობას...

საუკუნეების წინ საქართველოს განვითარებულ ფეოდალურ მეურნეობას თურქ-სელჩუკთა მომთაბარულ-მეჯოგური ყოფა უპირისპირდებოდა, ქვას ქვაზე აღარ ტოვებდა. დღეს?

დღეს თურქეთი ნატო-ს წევრი (დღეს კი არა, 1952 წლიდან) ქვეყანაა, პატივდებული და ანგარიშგასაწევი ძალა მსოფლიოში.

საქართველო? — ნატო-ს კარზე მიმდგარი მარადი მათხოვარი...

დღეს თურქი აღარ წვავს ქუთაისსა და არტანუჯს, აღარც კლარჯეთს, აღარც ხორნაბუჯი და არადეთი აქვს დასაპყრობ-მისატაცებელი და აღარც რუსთავი, დმანისი თუ სამშვილდე, რაც მისატაცებელი იყო, ადრევე მიიტაცა, რაზეც გული სწყდებოდა — მისცეს; რაზეც თვალი ჰქონდა დადგმული, თვითონ ჩაუხტა ხახაში, ხოლო რაც დარჩა, ანუ წვრილმანები, ისე გამოიწყო საქმე, რომ ისიც მისია.

რუსეთ-საქართველოს შორის თურქეთში (2010წ), აქჩაბათის სტადიონზე გამართულ რაგბის მატჩზე საუბრით შეძრული იყო ქართული მედიასივრცე, არადა, სიტყვადაც არავის დაუსველებია, რომ ეს მატჩი თურქეთში კი არა, თურქეთის მიერ სისხლით, ხორცით და სულიერი საგანძურით, ქართული ეკლესია-მონასტრებით მიტაცებულ საქართველოს ტერიტორაზე ტარდებოდა; თამარ მეფის სამეფო კარის ინიციატივითა და ხელშეწყობით დაარსებულ, ისტორიულად ლაზების და ჭანების პონტოს სამეფოში, ისტორიულ ლაზიკაში; რომ თამარს გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს მიწების საქართველოსავე ფარგლებში მოქცევა და დაიბრუნა კიდეც: ჭანეთი, ტრაპიზონი, ლიმანი, სამსუნი, სინოპი, კერასუნტი, კოტიორა, ამასტრისი, ჰერაკლეა, პაფლაგონია და ბიზანტიამ ხმა ვერ ამოიღო; სიტყვა არავის დაუსველებია, რომ ერთი ოკუპანტი ქვეყნის ტერიტორიაზე, მეორე ოკუპანტი ქვეყნის მორაგბეებს ეთამაშებოდნენ ქართველი მორაგბეები, ღვთითბოძებულ თავიანთსავე მშობლიურ მიწაზე...

ბრესტის ზავის დადების შემდეგ თურქები ბათუმის, ყარსის და არტაანის მხარის დაკანონებას ითხოვდნენ. ამიერკაავკასიის სეიმი ამ პირობებს არ სცნობდა. გაგულისებული თურქები ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ და საქართველო იძულებული გახდა საზავო მოლაპარაკება დაეწყო. ა. ჩხენკელის მეთაურობით ტრაბზონში ჩასული დელეგაცია იმედგაცრუებული გამობრუნდა უკან, რადგან მოლაპარაკება ჩაიშალა. თურქებმა შეტევა განაახლეს და დაიკავეს: ბათუმი, ყარსი, არტაანი და ოზურგეთი. 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და გერმანიის დახმარებით გადაწყვიტა საქართველოს ტერიტორიული პრობლემის მოგვარება, მაგრამ მოლაპარაკება კვლავ ჩაიშალა და თურქებმაც კვლავ წამოიწყეს შეტევა. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა ხელი მოეწერა თავსმოხვეული „მშვიდობისა და მეგობრობის ხელშეკრულებაზე“ თურქეთთან, მაგრამ უარესი პირობებით, ვიდრე ბრესტის

ზავი იყო. ოსმალეთს გადაეცა ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, რის შედეგადაც, საქართველოს ჩამოეჭრა 10 000 კვადრატული კილომეტრი და 350 000 მცხოვრები, — ეს ხომ ათი საუკუნის წინ არ მომხდარა, გუშინ იყო, იმ საუკუნეში როცა ჩვენ დავიბადეთ...

წინათ მტერი საბრძოლო იარაღით მოდიოდა, ხილული იყო და შენც უხვდებოდი მტრულად, ახლა, უხილავი მტერი ღიმილით მოდის, ტკბილეულით, სათამაშოებით, ტანსაცმლით, პრიზებით და სიურპრიზებით და როგორ უნდა შემოსწყრე, რა მოტივით? — და ჩანს მხოლოდ ერთი მტერი, რუსეთი.

სხვათა შორის, ეს ის რუსეთია, რომლის დახმარებითაც შეძლო საქართველომ ოკუპანტი თურქებისგან თავისი ისტორიული მიწა-წყლის ნაწილის დაბრუნება.

დღეს მხოლოდ რუსეთია ოკუპანტი, ხოლო თურქეთი, რომელსაც საქართველოს ტერიტორიები დღემდე ოკუპირებული და ანექსირებული აქვს, მეგობარია.

ამ გახსენებაზე, ისტორიული ძმა და მეგობრის, თურქეთის ხათრით, დავით აღმაშენებელი რუსეთის აგენტად ხომ არ გამოვაცხადოთ, ხოლო მისი ძეგლი დიღმის ტრასიდან ავიღოთ და სადმე გადავმალოთ, რომ ჩვენს მეგობარ თურქებს თვალში არ ეჩხირებოდეს...

სოფელ ხრესილთან აღმართულ საბრძოლო მემორიალზე არსებულ წარწერაზე ნათლად ჩანს გადაშლის კვალი, რომელიც გადაშლამდე გვამცნობდა, რომ 1757 წელს მეფე სოლონ პირველის მეთაურობით ქართველთა ლაშქარმა სძლია თურქ დამპყრობელს, ახლა კი მტრის ვინაობა მხოლოდ ერთი სიტყვითაა ჩანაცვლებული „მტერს“. ეს გადასწორება მოხდა სავარაუდოდ 2009 წელს.

როგორც ჩანს, ისედაც გაყალბებულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში მალე გაქრება საქართველოსთან ისტორიულად დაპირისპირებულ მტერთა ვინაობა.

გუშინ ხრესილი, დღეს — დიდგორი, ხვალ...

გიორგი ჩხეიძე

„ჯაბოლილეგი“

„გირჩის“ „კათალიკოს-პატრიარქი“ ჯაფარიძე, „გირჩის“ „მღვდელთმსახურები“ და „ეპისკოპოსები“ საქართველოს ახალ რჯულზე მოქცევას უპირებენ?!

2017 წლის 3 მარტს საჯარო რეესტრში ახალი რელიგიური ორგანიზაცია “ბიბლიური თავისუფლება” დარეგისტრირდა. დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს ქრისტიანული, ევანგელისტური, პროტესტანტული ეკლესიის ხელმძღვანელად, პოლიტიკური პარტია “გირჩის” წევრი, ნიკა ობოლაძე დასახელდა. მთავარ ღირებულებად თავისუფლება განისაზღვრა. თავისუფლების შეზღუდვის ძირითად მაგალითად კი სავალდებულო სამხედრო სამსახური იქცა. პოლიტიკური გაერთიანება გირჩი წვევამდელებს სავალდებულო სამსახურიდან თავის არიდების შესაძლებლობას სთავაზობს. ამ რელიგიურ ორგანიზაციაში გაწევრიანების შემთხვევაში, ახალგაზრდა, როგორც სასულიერო პირი გათავისუფლდება სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან. „ამ რელიგიის სახელით მღვდელმსახურებად ვარეგისტრირებთ ახალგაზრდებს, რომლებიც შემდეგ მიდიან და აბარებენ შესაბამის საბუთებს, რომელიც ასი პროცენტით არის ლეგალური და ისინი თავისუფლდებიან

ნიკა ობოლაძე

სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან. ამჟამად არის ექვსი ახალგაზრდა განთავისუფლებული, ამ წუთში ერთგვარი რიგი გვიდგას“ - განაცხადა ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩის თავმჯდომარემ ზურაბ ჯაფარიძემ. გაწვევაზე პასუხისმგებელ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში აცხადებენ, რომ საგაზაფხულო გაწვევა შეფერხების გარეშე მიმდინარეობს.

გირჩის ერთ-ერთმა წევრმა და რელიგიური ორგანიზაციის ეპისკოპოსმა, ლევან ჯგერენაიამ დაადასტურა აღნიშნული ფაქტი და აღნიშნა- “ჩვენ ამ რელიგიური ორგანიზაციის წევრები და დამფუძნებლები მივიჩნევთ, რომ თავისუფლება არის ადამიანის მთავარი ღირებულება. ადამიანს საკუთარი სხეული თავად ეკუთვნის, სწორედ ამასთან იყო დაკავშირებული ჯარის ამბავიც. მივიჩნევთ რომ ადამიანები ჯარში იძულებით მიჰყავთ, რაც მათი ნების საწინააღმდეგოდ მოქმედებაა. ჩვენ ამ რელიგიური ორგანიზაციასა და წევამდელების ნაწილის სასულიერო პირებად კურთხევაში ვნახეთ გამოსავალი“.

აღსანიშნავია, რომ მსურველის მღვდელმსახურად კურთხევის გადაწყვეტილებას ეპისკოპოსთა კრება იღებს. (მსურველი მთავარია პრორუსი არ იყოს) ქრისტიანული, ევანგელისტური, პროტესტანტული ეკლესიის სასულიერო პირს შესაბამისი მოწმობაც გადაეცემა, რომელიც მას ეკლესიის სახელით ქადაგების უფლებას აძლევს. მოწმობას ხელს გირჩის წევრები და რელიგიური ორგანიზაციის მთავარი მღვდელმსახური და ეპისკოპოსები **ნიკა ობოლაძე, არჩილ ხაჩიძე** და **ლევან ჯგერენაია** აწერენ. იქადაგებენ თუ არა უფლის სიტყვას მღვდელმსახურებად კურთხეული ადამიანები ჯერ უცნობია, თუმცა, სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, სავალდებულო სამხედრო სამსახურს სამუდამოდ თუ არა, დროებით მაინც რომ დააღწევენ თავს, ფაქტია. კანონის 30-ე მუხლის “ლ” ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გაწვეული მღვდელთმსახურია ან სასულიერო სასწავლებელში სწავლობს. თუმცა, დიდი ხანია არსებობს კანონი არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ და “გირჩის”შეთავაზებულ „გადავადებას“ და სულისწაწყმედას ალტერნატიული სამსახურის გავლა, ვფიქრობ ბევრად ჯობია. გირჩის განცხადება, რომ თვეების განმავლობაში მათ უამრავი წვევამდელი მიმართავდა დახმარების თხოვნით და მათ იპოვეს გამოსავალი, სასაცილოა. „ქინძის“ ნაშიერი „გირჩი“ თუ მეტ პრობლემას მათ „ქურუმ“ სააკაშვილის მიერ გაპარტახებულ ქვეყანაში ვერ ხედავს, დაუჯერებელია. აღმაშფოთებელია მათი შეთავაზებაც წვევამდელებისადმი, გაერთიანდნენ მათ მიერ დაარსებულ რელიგიურ ორგანიზაციაში, მიიღონ შესაბამისი ცნობა და ამ გზით აარიდონ თავი სავალდებულო სამხედრო სამსახურს... ლევან ჯგერენაია და რელიგიური ორგანიზაციის სხვა წევრები სავალდებულო სამხედრო სამსახურს მონობას უწოდებენ და წვევამდელებისთვის აღნიშნული პასუხისმგებლობის აცილებას მორალურად გამართლებულად მიიჩნევენ. “რელიგიური ორგანიზაციის დაარსების მთავარი იდეა ის იყო, რომ გვწამს თავისუფლების და ამ თავისუფლების ერთ-ერთ შეზღუდვას სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდაში ვხედავთ. სწორედ ამიტომ ვიფიქრეთ, რომ ეს მექანიზმი, მიზნის მიღწევაში დაგვეხმარებოდა” “გირჩი” დაფუძნების მომენტიდან ამას ამბობდა, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური არ უნდა არსებობდეს იმიტომ, რომ თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ მიჰყავთ ადამიანები და უფასო მუშახელად იყენებენ”- განმარტა ჯგერენაიამ. „ბიბლიური თავისუფლების” მთავარი ორგანო ეპისკოპოსთა კრებაა. მის პრეროგატივას მსურველთა მღვდელმსახურებად კურთხევა და თავისუფლების ქადაგება წარმოადგენს. აღნიშნული რელიგიური ორგანიზაციის სასულიერო წოდების მოპოვებაში არც ქალები არიან შეზღუდულები(?). მთავარი კრიტერიუმი კი თავისუფლების მაღალ ღირებულებად აღიარებაა. რელიგიური ორგანიზაციის წევრები მიზნისკენ სავალ გზაზე დაბრკოლებებს არ გამორიცხავენ, თუმცა, აცხადებენ, რომ ყველანაირი ბარიერის გადასალახავად მზად არიან.

სამწუხარო ფაქტია, რომ ნაციონალური მოძრაობის ნაშიერმა „გირჩმა“ მუტაცია განიცადა და ბევრად უარესი მიზნები აქვს ვიდრე მის „მშობელს“. მარიხუანას პირდაპირ ეთერში დათესვა, სხვა უბედურებასთან ერთად იმის დემონსტრირებაც გახლდათ, რომ მათ სერიოზული სატანური ძალა მფარველობთ დასავლეთიდან და ზუსტად იცოდნენ, რომ უკანონო ქმედების გამო მათ დასჯას ვერ გაუბედავდნენ. ეხლა, ახალ რელიგიურ სექტაში ეპატიჟებიან წვევამდელებს, თან მხოლოდ გადავადების შესაძლებლობით, რათა დიდხანს ჰქონდეთ იმის შესაძლებლობა მომავალ თაობას ტვინი გამოურეცხონ...საინტერესოა, როგორ შეხვდნენ სოციალური ქსელის მომხმარებლები „გირჩის“ინიციატივას- „გირჩობის რა მოგახსენოთ და ამათ ''ქინძები'' უფრო მოუხდებოდათ. ან დეგენერატების თავშესაყარია ან შეგნებულად მტრობენ ქვეყანას. ორივე შემთხვევაში საქართველოს და ქრთველების ამოსაძირკვად იღწვიან, 1. ნარკოტიკების ლეგალიზაციის შედეგებს სულ მალე მოვიმკით. გარდა იმისა, რომ მორალურად და ფიზიკურად დაჩაჩანაკდება ერი, ისედაც სავალალო მდგომარეობაში მყოფი შობადობა კიდევ უფრო დაეცემა. 2. ქვეყნის თავდაცვითუნარიანობას ასუსტებენ. (საკუთარი სხეული ეკუთვნით თურმე. მტერი რომ შემოვა და მათი ნების წინააღმდეგ, „საკუთარი სხეულით'' ოთხზე დააყენებენ, თუ იციან ეს.) 3. მოწმობების დარიგება ხრიკია, რომ რაც შეიძლება მეტი გადანათლონ ევანგელისტად და მართლმადიდებლობას გამოსტაცონ მრევლი. რადგან მართლმადიდებლობაა ჯერ კიდევ ის ძალა, რომელიც ქართველებს აერთიანებს. ასე რომ, გირჩი მოღალატე და დამანგრეველი ძალაა!“

სხვა მომხმარებელი ასე აფასებს „გირჩის“ ინიციატივას- „ამ “თავისუფლების” ბაზა არის იდეის ავტორთა ღალატის ლეგალიზება. როგორ, ქვეყანას გაწვრთნილი დამცველი არ სჭირდება? ძალიან ვერაგული ჩანაფიქრია, რისთვისაც დიდი გრანტები ჩაუჯიბეს საქართველოს მტრებმა გირჩებს, ცხადია. სულ ღალატზე რატომ ხართ აწყობილები, „გირჩელებო“?

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ვის აირჩევს საფრანგეთი პრეზიდენტად – მარინ ლე პენს თუ ბრიჯიტის ქმარს, მაკრონს?

მაკრონის მეუღლეს 64 წლის ბრიჯიტს, რომელიც ქმარზე 25 წლით არის უფროსი, პირველი ქმრისგან 3 შვილი ჰყავს. თავად ემანუელი უშვილოა და ბრიჯიტის შვილიშვილებს ზრდის

საფრანგეთში, რომელსაც მეხუთე რესპუბლიკას უწოდებენ, მეთერთმეტე საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. შეიძლება უცნაურ დამთხვევად მივიჩნიოთ, რომ 11 კანდიდატი იყრიდა კენჭს. თუმცა, რეალური შანსები, პოლიტოლოგების განცხადებით, მხოლოდ ოთხ მათგანს ჰქონდა, რაც არჩევნების დღეს დადასტურდა კიდეც.

წინასაარჩევნო პერიოდი საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ევროპელი მიმომხილველები და პოლიტოლოგები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მსგავსი ბინძური საარჩევნო კამპანია საფრანგეთის ისტორიაში არ ყოფილა. ფაქტობრივად, წინასაარჩევნო კამპანია კომპრომატების ომში გადაიზარდა. ყოველ ღონეს მიმართავდნენ, რომ „ვიღაცისთვის“ არასასურველი კანდიდატები გზიდან ჩამოეცილებინათ. აღსანიშნავია, რომ მიზანს ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც. აქვე გასახსენებელია, რომ 5 წლის წინ მოხდა მსგავსი შემთხვევა, პრეზიდენტობის მაშინდელი რეალური კანდიდატი ტოსკანი სასტუმროს დამლაგებელმა ქალმა სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულა. როგორც შემდეგ გამოაშკარავდა, ბრალდება გამოგონილი იყო. ტოსკანის კი პოლიტიკური კარიერა, ფაქტობრივად, დაუნგრიეს. მაშინ მიმომხილველები აღნიშნავდნენ, რომ ასეთი ბინძური სპექტაკლის გათამაშება დღევანდელი პრეზიდენტის ფრანსუა ოლანდის სასარგებლოდ დასჭირდათო.

ამჯერად პრეზიდენტობის რეალურ კანდიდატებს, ფრანსუა ფიონს და მარი ლე პენს ფინანსური სკანდალი აუგორეს. ამ გარემოებამ განსაკუთრებით ფრანსუა ფიონი დააზარალა, რომელმაც ხმების დიდი რაოდენობა დაკარგა და მეორე ტურშიც ვერ გადავიდა. კომპრომატებს ვერ ასცდა საფრანგეთის პოლიტიკური ბომონდის კანდიდატი ემანუელ მაკრონიც, რომლის არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციაზე წერდა ადგილობრივი პრესა, მაგრამ სკანდალური ინფორმაცია მიაჩუმათეს.

საფრანგეთში წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნები მოსალოდნელი ტერაქტების საშიშროების ფონზე მიმდინარეობდა, რომლის საფუძველიც რეალურად არსებობდა. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე პარიზის ცენტრში ავტომატური იარაღით მოკლეს ერთი პოლიციელი, ორი ადამიანი კი დაჭრეს. ფრანგების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ხალხი პანიკას არ აჰყვა და არჩევნებზე ამომრჩეველთა საკმაოდ დიდი რაოდენობა — 77 პროცენტი მივიდა. თუმცა, აქვე სათქმელია, რომ წესრიგს საფრანგეთში 50 ათასზე მეტი ჟანდარმი და პოლიციელი, ასევე 7 ათასზე მეტი შეიარაღებული სამხედრო იცავდა. ამიტომაც არჩევნებმა მნიშვნელოვანი ექსცესების გარეშე ჩაიარა.

საარჩევნო უბნები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებშიც იყო გახსნილი. კანადის ქალაქ მონრეალში საარჩევნო უბანთან რიგი, ადგილობრივი მედიის ცნობით, თითქმის 1,5 კილომეტრზე გაიჭიმა. რა იყო ამის მიზეზი, უცნობია. რიგები იყო აგრეთვე ბრიტანეთშიც. ყოველივე ეს იმის მანიშნებელია, რომ ფრანგები თავიანთი ქვეყანის მომავალს გულგრილად არ უყურებენ.

საფრანგეთის არჩევნები მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. პოლიტოლოგების და სოციოლოგების გაცხადებით, ევროპის მომავალი იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ მოვა საფრანგეთის ხელისუფლებაში. ამიტომაც იყო, რომ პირველი ტურის დაწყებამდე ვერავინ აკეთებდა პროგნოზს, თუ რა შედეგი დადგებოდა. მოსახლეობის უმეტესობა დღევანდელი ხელისუფლებით, განსაკუთრებით პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდით უკმაყოფილოა. სოციალური გამოკითხვებით ოლანდი ისტორიაში ყველაზე სუსტი პრეზიდენტია. მას იმდენად დაბალი რეიტინგი აქვს, რომ მეორე ვადით კენჭისყრაზე თავადაც არ უფიქრია.

სწორედ ფრანსუა ოლანდის მმართველობის პერიოდში გახშირდა საფრანგეთში ტერაქტები, რომლებსაც ასეულობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, გაიზარდა უმუშევრობა, გაუარესდა ცხოვრების დონე. აღარაფერს ვამბობთ აზია-აფრიკის ქვეყნებიდან მიმწყდარ დევნილებზე, რომლებმაც თავიანთი თავაშვებული საქციელით კიდევ უფრო გაუსაძლისი გახადეს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრება. ქვეყანაში ვითარების გამოსწორების სურვილით მივიდა ხალხი არჩევნებზე. აქვე ვიტყვით, რომ საფრანგეთში 46 მილიონი ამომრჩეველია და მათმა 77-მა პროცენტმა გააკეთა არჩევანი.

საფრანგეთში საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური დასრულდა, რომელშიც ვერავინ გაიმარჯვა და 7 მაისს მეორე ტური გაიმართება, სადაც ბრძოლას ორი კანდიდატი — ემანუელ მაკრონი და მარინ ლე პენი გააგრძელებენ. პირველი ტურის შემდეგ მაკრონი კონკურენტს 1,5 პროცენტით უსწრებს, მაგრამ ამას არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს. ახალი საარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო და ახალი პრეზიდენტის ვინაობა სწორედ 7 მაისს გახდება ცნობილი.

მაკრონის მეუღლეს 64 წლის ბრიჯიტს, რომელიც ქმარზე 25 წლით არის უფროსი, პირველი ქმრისგან 3 შვილი ჰყავს. თავად ემანუელი უშვილოა და ბრიჯიტის შვილიშვილებს ზრდის. ბრიჯიტი ემანუელის ფრანგული ენის მასწავლებელი იყო სკოლაში, რომელსაც ქმართან გაშორების შემდეგ გაჰყვა ცოლად. ემანუელ მაკრონიმ ერთ-ერთ თავის გამოსვლაში სახალხოდ განაცხადა, რომ იგი ბრიჯიტის გარეშე ვერაფერს მიაღწევდა და არც არაფერი ექნებოდა. როგორც ჩანს, ემანუელი მეუღლეზეა ჩამოკიდებული, ხოლო ბრიჯიტი ახლაც აგრძელებს მის აღზრდას.

არჩევანის გაკეთება ფრანგებს უკვე ორ, რადიკალურად განსხვავებულ კანდიდატს შორის მოუწევთ. მარი ლე პენი, იმის გარდა, რომ ქალია, საფრანგეთის მომავალს სრულიად განსხვავებულად სთავაზობს ამომრჩეველს. როგორც ამბობს, იგი ხალხის კანდიდატია და ქვეყნისთვის, ხალხისთვის იმუშავებს. მისივე აზრით, საფრანგეთმა უარი უნდა თქვას ევროზე და ეროვნული ვალუტა დააბრუნოს მიმოქცევაში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ადგილობრივ პროდუქციას, გამკაცრდეს მიგრაციის კანონი და მოქალაქეობის მინიჭება. ლე პენი განსაკუთრებულ ყურადღებას ტერორიზმთან ბრძოლას უთმობს და რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებასაც გეგმავს. მისი პროგრამიდან აღსანიშნავია ისიც, რომ ნატოში და ევროკავშირში საფრანგეთის ყოფნას საჭიროდ არ მიიჩნევს და გაპრეზიდენტების შემთხვევაში დააყენებს კიდეც საკითხს ამ ორგანიზაციების დატოვების შესახებ. ფაქტობრივად, მას სურს, რადიკალურად შეცვალოს საფრანგეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

პოლიტიკისთვის ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 39 წლის ემანუელ მაკრონი არ უარყოფს, რომ ქვეყანაში ცვლილებები აუცილებელია, მაგრამ კონკრეტულად რის გაკეთებას გეგმავს, ამის შესახებ არაფერს ამბობს. აქვე სათქმელია, რომ იგი ფრანსუა ოლანდის მთავრობაში ეკონომიკის მინისტრის პოსტს იკავებდა, მაგრამ ქვეყნისთვის სასიკეთო რა გააკეთა, ძნელი სათქმელია.

ახლა ძნელია გამოცნობა, როგორ არჩევანს გააკეთებს საფრანგეთის მოსახლეობა, რომელ კანდიდატს მიანიჭებს უპირატესობას. ცხადი ერთია, რომ იქაური ფერმერები, ბოლო წლებია, მძიმე მდგომარეობაში არიან და უკმაყოფილებას არც მალავენ. ბევრი მათგანი, როგორც ფრანგული პრესა წერდა, გაკოტრდა. ექსპერტები იმასაც ამბობენ, რომ ფერმერებს არც სახელმწიფო სუფსიდირება ეხმარება, რადგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის (და არა მარტო მის) ბაზარს ევროკავშირი არეგულირებსო. სოციოლოგების გამოკითხვებით, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყანაში თავს დაუცველად გრძნობს. როგორც ვხედავთ, საფრანგეთის მოსახლეობის აზრს ითვალისწინებს მარინ ლე პენი.

მართალია, მარინ ლე პენს ჰყავს თავისი მხარდამჭერები, არც ემანუელ მაკრონია ეულად დარჩენილი. განსაკუთრებული მხარდაჭერა მას სწორედ პოლიტიკური ბომონდისგან აქვს. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მაკრონს ერთ-ერთმა პირველმა მოქმედმა პრეზიდენტმა მიულოცა პირველ ტურში გამარჯვება. ამასთან, პოლიტოლოგები და დასავლეთის პრესას უკვე საუბრობენ, რომ საფრანგეთის პოლიტიკოსები უკვე დაირაზმენ მარინ ლე პენის წინააღმდეგ. თუმცა რა მოხდება 7 მაისს და ვინ გაიმარჯვებს საპრეზიდენტო ფაქტობრივ ომში, მომავალი გვიჩვენებს. შარშან, აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნების დროს, დონალდ ტრამპსაც ებრძოდნენ, დამარცხებასაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მაინც გაიმარჯვა. ერთი კი ახლავე ცხადია — ვინც უნდა გახდეს ქვეყნის მმართველი, მას ორად გახლეჩილი ქვეყნის საზოგადოების გაერთიანებაც მოუწევს ყველა არსებული პრობლემის მოგვარებასთან ერთად.

გია ბურდული
551 71 27 07

ოქროს სათადარიგო

ირაკლი ღარიბაშვილის საჯაროდ გამოჩენა მომენტალურად იწვევს საზოგადოების გამოცოცხლებას, რასაც თან მოსდევს ახალ-ახალი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ღარიბაშვილი ახლო ხანებში აუცილებლად დაბრუნდება პოლიტიკაში.

ყოველივე ეს იმის მანიშნებელია, რომ ხალხს უყვარდა და დღემდე უყვარს ირაკლი ღარიბაშვილი, ხალხის სიყვარულის დამსახურება კი ადვილი საქმე არ არის, მით უმეტეს, ახალგაზრდა კაცისთვის, რომელმაც სულ რაღაც ოთხი წელი იმოღვაწა პოლიტიკურ ასპარეზზე, სფეროში, რომელიც მანამდე სრულიად ახალი და უცნობი იყო მისთვის.

მაინც რაში მდგომარეობს ირაკლი ღარიბაშვილის ესოდენ დიდი პოპულარობის და ავტორიტეტის მთავარი საიდუმლო?

პირველ ყოვლისა, ალბათ, მის პროვინულ თვისებებში და მის არაორდინარულ ქარიზმაში, რომელსაც ერთი შეხედვით ქარიზმასაც ვერ დაარქმევ, იმდენად რბილი და ბუნებრივია ის შტრიხები და ხაზები, რაც მთლიანობაში კრავს მის პიროვნულ ხიბლს და მიზიდულობას.

ღარიბაშვილი არ არის ორატორული ხელოვნებით გამორჩეული, არ მეტყველებს ქვეტექსტებით და მინიშნებებით, დიპლომატიურ-მეტაფორულ საბურველში არ ფუთავს სათქმელს, თუმცა ის ყველაფერი, რაც შეიძლება სხვისთვის ნაკლი და მინუსი იყოს, მისთვის წარმატების მომტანი ელემენტებია.

საქმე ის არის, რომ ირაკლი ღარიბაშვილი არ თამაშობს, ის არის ის, ვინც არის სინამდვილეში — კახურად პირდაპირი და ალალი, ზოგჯერ ხისტი და ცოტათი უხეშიც კი, მაგრამ გულწრფელი და მართალი, რომელსაც მთელი არსებით სჯერა იმისი, რასაც ამბობს და, რაც მთავარია, მას აქვს მკვეთრად გამოხატული პოზიცია, მკვეთრად გამოხატული ფასეულობები და ღირებულებები, რომლებიც ზუსტად ემთხვევა, ზოგადად, ქართველი კაცის ეროვნულ ფასეულობებსა და ღირებულებებს.

მოკლედ რომ მოვჭრათ, ირაკლი ღარიბაშვილი ქართველი კაცია, რომელსაც უყვარს საქართველო და ზოგიერთებივით ამ სიყვარულს არ მალავს — არიქა, ამ მსოფლიო მასშტაბების გლობალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის ეპოქაში ვიღაცამ სამშობლოსადმი განსაკუთრებული სიყვარული პოლიტიკურად წამგებიან ნიშნად არ ჩამითვალოსო.

ქართველები ირაკლი ღარიბაშვილში თავისიანს, თავისი სისხლის და ხორცის ნაწილს ხედავენ — ის ერთი უბრალო ქართველი ბიჭია, უბრალო და წესიერი ქართული ოჯახიდან, რომელსაც არც მილიონები ჰქონია, არც მაღალჩინოსანი წინაპრები, არც პარტიული ნომენკლატურის წარმომადგენლები ჰყოლია გზის გამკვალავად — მან ყველაფერს თავისი შრომით და თავდადებით მიაღწია.

მისი ცხოვრება რაღაცით ჰგავს „კონკიას“ სიუჟეტს და ესეც არის მის მიმართ გამოვლენილი სიყვარულის და თანადგომის საიდუმლოს ერთ-ერთი დეტალი.

ახალგაზრდები მასში ხედავენ წარმატებულ თანატოლს, რომლის წარმატება ერთგვარი იმედი და მოტივაციაა მათთვის, საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებისთვის ირაკლი ღარიბაშვილი მათი შვილებისა და შვილიშვილების პერსპექტივისა და წინსვლის შანსის რეალური დასტურია და ა. შ. და ა. შ.

დღემდე ბურუსითაა მოცული, თუ რა იყო პრემიერ-მინისტრის პოსტიდან ირაკლი ღარიბაშვილის მოულოდნელი გადადგომის მიზეზი.

სხვადასხვა სავარაუდო მიზეზთა შორის სახელდება ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ირაკლი ღარიბაშვილი იძულებული გახადეს, თანამდებობა დაეტოვებინა.

ეს არის მისი მკვეთრი და ხისტი განცხადება ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ, რომელშიც ღარიბაშვილმა ღიად გამოხატა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ულტრალიბერალური ძალების მიერ წამოყენებული და მათ მიერვე ლობირებული ამ მოთხოვნის მიმართ.

— სანამ მე პრემიერ-მინისტრი ვარ, საქართველოში ეს კანონი არ იქნება მიღებული! — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა და იქვე შემოგვთავაზა ტექსტი იმ კანონპროექტისა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ქორწინებად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტექსტი ამ კანონპროექტისა, რომლის მიღება ღარიბაშვილის პრემიერ-მინისტრობის დროს ვერ მოხერხდა, ფაქტობრივად, უცვლელი სახით შევიდა ახალ კონსტიტუციაში.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას იმ ცნობილი ინიციატივის შემდეგ, რომლითაც ობამამ მხარი ერთსქესიანთა ქორწინების შემოღებას დაუჭირა, სულ რამდენიმე დღეში გაკეთდა და, ცხადია, ღარიბაშვილის განცხადება ობამას მისამართით ნასროლ რეპლიკად და დინების საწინააღმდეგო სვლად იქნა აღქმული, რის გამოც მცირერიცხოვანი და პატარა ქვეყნის ურჩი პრემიერი, რომელმაც გაბედა და ხმა აღიმაღლა ზესახელმწიფოს ლიდერის წინააღმდეგ, ურჩობისა და „თავხედური გამოხტომის“ გამო დაისაჯა.

ვერ გეტყვით, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ვერსია, რომელიც ღარიბაშვილის გადადგომის მიზეზად არაოფიციალურად, ჭორის სახით გავრცელდა, თუმცა დაუჯერებელი და ფანტასმაგორიული ამ ვერსიაში არაფერია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, არცთუ ისე შორეულ წარსულში რა ძვირად უჯდებოდათ მსგავსი რეპლიკები ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს...

ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომამდე და გადადგომის შემდეგაც ე. წ. პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსებისა და ენჯეოების წარმომადგენელთა მხრიდან ღარიბაშვილის მისამართით ხშირად ისმოდა ბრალდებები, თითქოს ღარიბაშვილი პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსი იყო.

გასაოცარი და გასაკვირი ამ ბრალდებებში ყველაზე მეტად ის არის, რომ ეს ბრალდებები ჟღერდებოდა იმ პოლიტიკური ორგანიზაციის მხრიდან, რომლებმაც საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი რუსეთს მიართვეს, მანამდე კი რუსეთიდან მოვლინებული „ბროკერის“ ცნობილი დევიზის ქვეშ — „იყიდება ყველაფერი, სინდისის გარდა“, რუსეთს მიჰყიდეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბიზნესები, რუსულ კაპიტალს ფართოდ გაუხსნეს კარები საბანკო სექტორში და ა. შ.

ეს გააკეთეს იმ ადამიანებმა, რომლებიც თავიანთ თავს პროდასავლურ ძალად მიიჩნევენ და რუსეთის რადიკალურ და შეურიგებელ ოპონენტებად ითვლებიან.

— როგორ შეიძლება ამის ახსნა? — ვკითხეთ ერთ ადამიანს, რომელიც შესანიშნავად იცნობს სპეცსამსახურების მუშაობის სტილს.

— ძალიან მარტივი სქემაა — რუსეთი თავის აგენტურას ჯერ დასავლური ორიენტაციის იმიჯით ფუთავს, მერე კი ეს კარგად შენიღბული ადამიანები უფრო ლაღად და თავისუფლად ემსახურებიან რუსულ ინტერესებს. სიტყვებსა და ანტირუსული განწყობის რადიკალურ განცხადებებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ, მთავარი ის კი არ არის, ვინ რას ამბობს, მთავარი ისაა, რა შედეგით მთავრდება ესა თუ ის პროცესი.

აი, ასეთი უცნაური პასუხი მივიღეთ ჩვენს კითხვაზე იმ ადამიანისგან, რომლის კომპეტენციაში ეჭვი არ გვეპარება.

ირაკლი ღარიბაშვილს, მიუხედავად იმისა, რომ ის პოლიტიკაში არ არის, დღესაც ძალიან მაღალი რეიტინგი აქვს და მოქმედ პოლიტიკოსებს, ალბათ, დიდი სხვაობით უსწრებს კიდევაც, მაგრამ საზოგადოების გასაკვირად, მისი ეს სერიოზული რესურსი დღემდე გამოუყენებელია.

ის ჰგავს მაღალი კლასის მოთამაშეს, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ მაღალი კლასის მოთამაშეა, მწვრთნელი მაინც სათადარიგო სკამზე ასვენებს.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ მწვრთნელი რაღაც ძალზე დიდი და მნიშვნელოვანი მატჩისთვის ინახავს მას, რადგან იცის, მოედანზე შემოვა თუ არა, ის აუცილებლად გაიტანს გამარჯვების ოქროს ბურთს.

ჯერჯერობით არავინ იცის, რა ჩანაფიქრი აქვს მწვრთნელს, ან რომელი მატჩისთვის ინახავს სათადარიგო სკამზე გამწესებულ ამ მოთამაშეს, თუმცა, უეჭველია, ეს მატჩი ადრე თუ გვიან აუცილებლად შედგება და ირაკლი ღარიბაშვილიც აუცილებლად გავა მოედანზე...

ძლიერი რეგიონები

წყალტუბო

რძის პროდუქტების ახალი საწარმო წყალტუბოში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, კოპიტნარის დასახლებაში რძის პროდუქტების ჩამბარებელი და გადამმუშავებელი საწარმო ამ დღეებში გამგებელმა კონსტანტინე მამისეიშვილმა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა მერაბ ჩიკვაიძემ დაათვალიერეს. საწარმოში წარმოებული პროდუქცია: მაწონი, არაჟანი, ხაჭო, ყველი და პასტერიზებული რძე გოგნის მონასტრის საფირმო ნიშნით ადგილობრივ ბაზარზე (იმერეთი, აჭარა) იყიდება. დასაქმებულია 12 ადამიანი, რძეს დევნილებისა და ადგილობრივი მოსახლეობისგან იბარებენ, ხდება მისი მაღალტექნოლოგიურად დამუშავება და ნატურალური და ხარისხიანი პროდუქციის წარმოება. უახლოეს მომავალში დაგეგმილია წარმოების გაფართოება — ნაყინის წარმოება.

„არასამთავრობო ორგანიზაციაა „ამქორის“ საგრანტო პროგრამის — „დევნილთა კეთილდღეობის ხელშეწყობისა“'და აშშ-ის სახელწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით, 2011 წელს ავიღეთ გრანტი, შევიძინეთ შესაბამისი დანადგარები, დავიწყეთ ადგილობრივი მოსახლეობისგან რძის ჩაბარება და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება, რომელსაც ვაწვდით კოპიტნარის დასახლებაში მცხოვრებ დევნილებს შეღავათიან ფასებში. წარმოებას ყოველწლიურად ვაფართოებთ“, — აცხადებს ააიპ „თანადგომის“ დირექტორი ბორის ყოლბაია.

კოპიტნარის დასახლებაში მდებარე რძის პროდუქტების საწარმოს შემდეგ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა სოფელ ფარცხანაყანევში პროგრამის — „დანერგე მომავალის“ ფარგლებში შპს „ბელაგროს“ (გოჩა კაკუშაძე) მიერ 20 ჰექტარზე გაშენებული ამერიკული ჯიშის ჯუჯა კაკლების ბაღი დაათვალიერა.

დედოფლისწყარო — ნიკოლოზ ჯანიაშვილი სოფელ ოზაანის მოსახლეობას შეხვდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის ინიციატივა — „ერთი დღე სოფელში“ გრძელდება. სოფელ სამრეკლოს შემდგომ გამგებელი სოფელ ოზაანის მცხოვრებლებს შეხვდა. მან ადგილობრივი მოქალაქეებისგან პირადად მოისმინა, თუ რა აწუხებთ მათ. ნიკოლოზ ჯანიაშვილი ადგილობრივებს სოციალური, ინფრასტრუქტურული და სხვა საკითხების უახლოეს პერიოდში მოგვარებას დაპპირდა.

შეგახსენებთ, რომ გამგებლის ეს ინიციატივა გულისხმობს გამგეობის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად კვირაში ერთი დღის ხალხთან გატარებას იმისთვის, რომ პირადად მოისმინოს მათი გასაჭირისა და საწუხარის შესახებ ინფორმაცია.

გამგებელი სოფლის ბაგა-ბაღსაც ეწვია, თანამშრომლებს გაესაუბრა, ბავშვები მოინახულა და შენობა დაათვალიერა.

დუშეთის ტურისტული პოტენციალის გამოსავლენად

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ჩეხეთის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებს უმასპინძლა და მათთან ერთად განიხილა მუნიციპალიტეტში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივები, საქართველოში არსებულ კანონმდებლობაში მიმდინარე ცვლილებები დაცული ტერიტორიების მართვის გეგმასა და სტრატეგიებთან დაკავშირებით.

სამუშაო შეხვედრას ესწრებოდა ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დირექტორი იან ჩერნიკიც, რომელმაც ისაუბრა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დაწყებულ ხუთწლიან პროგრამაზე ფშავ-ხევსურეთისა და გუდამაყრის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და განვითარებისთვის. განიხილეს აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის საკითხები. პროექტების დასაზუსტებლად და მარშრუტების დასაგეგმად ექსპერტები უახლოეს დღეებში ფშავსა და გუდამაყარს ეწვევიან. პროექტის მიზანია ლოკალური ტურისტული მარშრუტების შემუშავება, ტურისტების საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფა და მომსახურების სფეროს განვითარება. გარდა ამისა, ფშავსა და გუდამაყარში დაგეგმილია ბილიკების მარკირება შვეიცარიული სისტემით.

ჩეხეთის განვითარების საგენტომ უკვე განახორციელა პროექტი „ფშავ-ხევსურეთში გადასასვლელი ახალი ტურისტული ბილიკების შექმნა“, რომელიც მიზნად ისახავდა ომალოსა (თუშეთი) და შატილს (ფშავ-ხევსურეთი) შორის საფეხმავლო და საცხენოსნო ბილიკების მონიშვნას, გაუმჯობესებასა და აღდგენას.

შეხვედრას მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლების გარდა, ესწრებოდნენ „ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის“ ადმინისტრაციის დირექტორი ვაჟა ჭინჭარაული და ა(ა)იპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელი ბაბუა ალუდაური.

დუშეთი

ამბროლაურის სოფლებში წყალგაყვანილობის ახალი სისტემები მონტაჟდება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მალხაზ ლომთაძემ მუნიციპალიტეტის გამგეობის სხვა თანამშრომლებთან ერთად 2016 წელს მოწყობილი წყალგაყვანილობის სისტემის მონიტორინგი განახორციელა ზემო სხარტალში, უყეშში, გორში, ქვედა შავრასა და ქვედა ღავრდიაში. ეს ის სოფლებია, სადაც მოსახლეობას წყალი არასდროს ჰქონია. ადრეულ წლებში ისინი სასმელ წყალს იღებდნენ სოფლის წყაროებიდან, რომელთაAუმრავლესობა ახლა უკვე დამშრალია. 2016 წელს ამ

ამბროლაური

სოფლებში ხელახლა მოიძებნა წყლის რესურსები და მოსახლეობას ახალგაყვანილი სისტემით მიეწოდება.

გამგებელი იმყოფებოდა აგრეთვე ჭყვიშის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ქვიშარში, სადაც ე. წ. „ხარხარას“ წყაროს სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შეჭირვებულ მცხოვრებთ სახლებს უშენებენ

უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კომისიამ ანკეტირების შედეგების შეჯამება და პრიორიტეტული ოჯახების გამოვლენაზე მსჯელობა დაასრულა. კომისიის სხდომას მუნიციპალიტეტის გამგებელი ლაშა გოგია უძღვებოდა.

„რამდენიმედღიანი მსჯელობის შემდეგ შეირჩა უკიდურესად მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე 32 ოჯახი. კომისიის გადაწყვეტილებით წელს საცხოვრებელი სახლი აუშენდება 20 ოჯახს, ხოლო წლის ბოლოს დავამატებთ კიდევ 7 ოჯახს, დარჩენილი ოჯახები კი მომავალ წელს ავტომატურად ჩაერთვებიან პროგრამაში. მიმდინარე წელს ვნერგავთ კიდევ ერთ ახალ პროექტს, „ერთი თბილი ოთახი“, რომელიც მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე ოჯახებისთვის ერთი ოთახის კეთილმოწყობას გულისხმობს. კომისია პრიორიტეტს მრავალშვილიან, შშმ და უკიდურესად მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახებს მიანიჭებს. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა ოჯახს ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები ჰქონდეს“, — განაცხადა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ლაშა გოგიამ.

გამგეობამ უსახლკარო და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე ოჯახებისთვის სახლების მშენებლობის პროგრამა 2015 წელს დაიწყო და ამ დრომდე მუნიციპალიტეტში სულ 41 ასეთი სახლი აშენდა.

მუნიციპალიტეტის გამგეობას 2015 წელს სპეციალური ჯილდო „წლის საუკეთესო პროექტი“ სწორედ ამ პროექტის განხორციელებისთვის გადაეცა.

ძლიერი საქართველოსთვის

ფოთი

სახლების მშენებლობის პროგრამა 2018 წელსაც გაგრძელდება.

ფოთში კუნძულის სანაპირო ზოლში გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

ბოლო დღეებში შავი ზღვის სანაპიროზე შტორმის შედეგად ბევრი ადგილი დაზიანდა და დანაგვიანდა, მათ შორის, კუნძულის სანაპირო ზოლი. ძლიერი ღელვის შედეგად ბულვარის ტერიტორიასა და სასეირნო ბილიკზე ამოყრილია ქვიშა და ნატანი. აქტიური გაწმენდითი სამუშაოებისთვის მობილიზებული იყო სპეციალური სამსახურები, რომლებიც საგანგებო რეჟიმში მუშაობდნენ.

აბაშა — ხანძრის შედეგად დაზარალებულებს ფულადი დახმარება გაეწევათ

აბაშის მუნიციპალიტეტში, სოფელ მაიდანში საცხოვრებელი სახლი ხანძარმა გაანადგურა. არსებულ მდგომარეობას ადგილზე გაეცნენ გამგებელი მამუკა კვიტაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, რომლებიც დარცმელიების დაზარალებული ოჯახის წევრებს შეხვდნენ. მათ ადგილობრივი ბიუჯეტიდან „სტიქიით დაზარალებული (ხანძარი, ქარი, წყალდიდობა) ოჯახების დახმარების პროგრამით“ გათვალისწინებული თანხა გადაეცემათ.

ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსის რეაბილიტაცია

ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსის, კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ცენტრის, ერისთავ ქუჯის რეზიდენციისა და ეგრისის სამეფოს დედაქალაქის ციხე-გოჯის-არქეოპოლისის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი დაიწყო.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ, სააგენტოს დირექტორის მოადგილეებმა, დავით ლომიტაშვილმა და პაატა დოლიძემ ნოქალაქევის ისტორიული ციხე-ქალაქის სარეაბილიტაციო სამუშაოები მათი მონიტორინგის მიზნით დათვალიერეს.

ციხე-გოჯი — არქეოპოლისის რეაბილიტაცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით 2016 წელს დაიწყო. 2017 წელს სამუშაოების მე-2 ეტაპით გათვალისწინებულია ქვედა ნაქალაქარის ყველა სეგმენტის — გვირაბის, რკინის ხიდის, საფორტიფიკაციო ნაგებობების, სასახლეების, უნიკალური წყალსაცავის მოწესრიგება და სრული კონსერვაცია, 40 მოწამეთა ტაძრისა და მასში არსებული ფრესკების რესტავრაცია-კონსერვაცია.

2017 წელს დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ, 2018 წელს მოეწყობა ნაქალაქარის ინფრასტრუქტურა — ბილიკები, მისასვლელი გზები, საინფორმაციო ბანერები და ა. შ. დასრულდება ნაქალაქარის ფერდობისა და ციტადელის პროექტირება. პროექტის ფარგლებში ასევე იგეგმება ახალი სამუზეუმო სივრცის შექმნა და ექსპოზიციის მოწყობა. მუზეუმში განთავსდება თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორია, რომელიც დასავლეთ საქართველოში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს მოემსახურება.

ნოქალაქევი

აგროდაზღვევის პროგრამა ჩხოროწყუში

მუნიციპალიტეტის გამგებელი დათო გოგუა და გამგებლის წარმომადგენლები სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ წარმომადგენლებს აგროდაზღვევის პროგრამის გასაცნობად შეხვდნენ.

პროგრამა მიზნად ისახავს აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნებასა და რისკების შემცირებას.

დაინტერესებულ ბენეფიციარებს სადაზღვევო პოლისის შეძენა შეეძლებათ საქართველოში მოქმედ ოთხ სადაზღვევო კომპანიაში.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პოლისი დაფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს: სეტყვას, წყალდიდობას, ქარიშხალს, საშემოდგომო ყინვას (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისთვის) — 1 სექტემბრიდან 30 ნოემბრამდე პერიოდში.

აგროდაზღვევის 2017 წლის პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარს შეუძლია დააზღვიოს 5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი (მარცვლეული კულტურის შემთხვევაში 30 ჰა). თითოეული დამზღვევი სახელმწიფოსგან 70-პროცენტიან თანადაფინანსებას მიიღებს

შუახევი

პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში. პროგრამის განხორციელების მიზნით, სააგენტო აფორმებს ხელშეკრულებებს საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიცენზირებულ შესაბამის სადაზღვევო კომპანიებთან, აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე ახდენს სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებას და მათ მონიტორინგს.

პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე, ხოლო ვაზზე — 50 პროცენტს.

სარეაბილიტაციო სამუშაოები რუსთავში

რუსთავის მერიის მიერ 2017 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, თბილისის ქუჩაზე და მეგობრობის გამზირის მე-2 გასასვლელში, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი შენობების მიმდებარედ, გზის საფარის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

ტერიტორიაზე დღეისთვის ასფალტის საფარის დასაგებად მოსამზადებელი სამუშაოები ხორციელდება. პარალელურად, რეაბილიტაცია უტარდება ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლის შენობის სახურავს.

„ცოცხალი წიგნები 2017“ დმანისში

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ასევე დმანისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მხარდაჭერით, ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტის „ცოცხალი წიგნების“ ფარგლებში თანამედროვე ქართველი მწერლებისა და პოეტების მობილური ჯგუფი (ნინო გუგეშაშვილი, ლელა ცუცქირიძე, ნიკა ჩერქეზიშვილი, გიორგი კაკაბაძე, რობერტ მესხი, მარიამ წიკლაური) დმანისის მუნიციპალიტეტს ესტუმრა.

პროექტი „ცოცხალი წიგნები“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება და მიზნად ისახავს თანამედროვე ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციას.

პროექტის ფარგლებში წიგნების ავტორები თავად დადიან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, პირადად უკითხავენ თავიანთ ნაწარმოებებს მკითხველებს. იმართება პოეზიის საღამოები და დისკუსიები ადგილობრივ მოსახლეობასთან მათთვის საინტერესო თემებზე.

შუახევი — შეხვედრა ნიგაზეულის მოსახლეობასთან

მუნიციპალიტეტის გამგებელი ტარიელ ებრალიძე, ზემო აჭარის მაჟორიტარი დეპუტატი აჭარის უმაღლეს საბჭოში ხვიჩა შარაშიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარული და გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ წულაძე, ამავე კომისიის წევრი გიორგი მანველიძე და მთავრობის აპარატის წარმომადგენლები სოფელ ნიგაზეულის მოსახლეობას შეხვდნენ.

შეხვედრაზე ნიგაზეულელები საუბრობდნენ მშენებარე „შუახევიჰესის“ გვირაბების მშენებლობით გამოწვეულ უარყოფით შედეგებზე და უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მათი თხოვნების გაუთვალისწინებლობის გამო.

ნიგაზეულის მოსახლეობა „შუახევიჰესის“ მშენებარე კომპანიისა და ხელისუფლებისგან კომპენსაციებს ითხოვს.

შეხვედრა ერთ საათს გაგრძელდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მხარეების შეხვედრა მომავალ კვირასაც გაიმართება.

როცა რაღაცას გესვრიან, თავს ნუ გაწევთ, შეიძლება თქვენს ზურგს უკან „ნაციონალი“ იდგეს და იმას მოხვდეს...

გასული კვირის ოთხშაბათს პარლამენტში მომხდარმა ამბებმა გულს იმედი ჩამისახა — შეიძლება ეს პარლამენტი, ბოლოსდაბოლოს, პარლამენტს დაემსგავსოს!

ყველაფერი, როგორც იცით, ემზარ კვიციანის განცხადებას მოჰყვა.

— რა აზრი აქვს, ბატონო ვახტანგ, სხდომას დახურავთ თუ არ დახურავთ, როცა აქ გვიზის უცხო ქვეყნის აგენტი გიგა ბოკერია და ეს თქვენ მშვენივრად იცით! — ასე მიმართა ბატონმა ემზარმა სუს-ის უფროსს, ვახტანგ გომელაურს, შემდეგ კი ბოკერიას მისამართით ჭიქა ისროლა.

ეხ, ბატონო ემზარ, ამხელა პარლამენტარი კაცი ხართ, თანაც სვანი და ჭიქას რომ ისვრით, არ გრცხვენიათ?

კვერცხი მაინც გესროლათ, დალოცვილო. აჰ, არ გქონდათ კვერცხი? ნააღდგომევს პარლამენტში კვერცხების გარეშე მოხვედით? ჩაგედოთ ჯიბეში რამდენიმე ცალი და გექნებოდათ — ზოგს კოლეგებს მიუჭახუნებდით, ზოგს ბოკერიას გაუქანებდით, თორემ რას ჰგავს ეს — ჭიქის სროლა რა ვაჟკაცის საქმეა?

ამ დავიდარაბაში საელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ფხიზლად მდგარ პარლამენტარებს ერთი მნიშვნელოვანი დეტალი გამორჩათ — პარლამენტარმა კვიციანმა სუს-ის უფროსი მთელი ქვეყნის გასაგონად უცხო ქვეყნის აგენტის მფარველობასა და ლობირებაში დაადანაშაულა.

არა? როგორ არა, როცა კვიციანმა პირდაპირ მიახალა გომელაურს, ბოკერია რომ აგენტია, შესანიშნავად იცით თქვენო.

ე. ი. რა გამოდის, სუს-ის უფროსი აგენტებს ხელს აფარებს?

კვიციანის „ნამიოკს“ თუ დავუჯერებთ, ბოკერიას გარდა, ვინ იცის, კიდევ რამდენი უცხო ქვეყნის აგენტი ზის საქართველოს პარლამენტში, გომელაური და მისი უწყება კი დუმს.

კიდევ ერთი საგულისხმო ამბავი მოხდა პარლამენტის შენობაში — პარლამენტარმა კანდელაკმა საფერფლე ესროლა პარლამენტარ ზარდიაშვილს, რომელსაც საფერფლე ასცდა და პარლამენტარ კახიძეს მოხვდა საფეთქელთან.

იმ დღეს განგებამ გადაგვარჩინა, თორემ ადვილი შესაძლებელი იყო, ეს შემთხვევა ფატალური შედეგით დამთავრებულიყო.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა მარცხიანი ხელი აქვთ ნაციონალებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საფერფლეს ესვრიან ვინმეს...

კანდელაკს თავი უმართლებია — მე რა შუაში ვარ, ყველაფერი ზარდიაშვილის ბრალია — იმას რომ არ აეცდინა საფერფლე, კახიძეს ხომ არ მოხვდებოდაო.

მართალია, კანდელაკი — ამ „ოცნების“ ხალხმა ვერა და ვერ გაიგო, როცა რაღაცას გესვრიან, კი არ უნდა აიცდინო... ხომ შეიძლება, ამ დროს შენს უკან ნაციონალი იდგეს და შენი მოსახვედრი იმას მოხვდეს პატიოსან შუბლში.

თუ „ოცნებამ“ ვერ გაიგო, რომ ეს წესი უნდა დაიცვას, „ნაციონალები“ თავებს დაუხეთქავენ ერთმანეთს — ვთქვათ და მდინარაძისათვის ნასროლი საფერფლე შეიძლება მელიას მოხვდეს, კობერიძისთვის ნასროლი — ბობოხიძეს და ა. შ.

მწიფეს ესროდნენ და მკვახე ცვიოდაო, ნათქვამია.

ამ შემთხვევაში სულ პირიქით მოხდა — „მკვახე“ ზარდიაშვილს ესროლეს და „მწიფე“ კახიძეს მოხვდა...

ასეა თუ ისეა, რაც ოთხშაბათს მოხდა, კარგია, ძალიან კარგია!

ახალბედა პარლამენტარები ნელ-ნელა მეთოდებს დახვეწენ, სასროლ საშუალებებსაც მოიმარაგებენ და პარლამენტი, როგორც ვთქვით, პარლამენტს დაემსგავსება.

დაბოლოს, პარლამენტარ გუგული მაღრაძეს მინდა ვკითხო:

— ქ-ნო გუგული, რა უნდოდა საფერფლეს პარლამენტში? თქვენ თამბაქოს და თამბაქოს მწეველთა წინააღმდეგ მიმართული ისტორიული კანონის ავტორს, როგორ გამოგეპარათ, რომ პარლამენტის შენობაში საფერფლე იყო... საფერფლე იყო, ესე იგი, ეწეოდნენ ეს ვირეშმაკა პარლამენტარები, ხომ?

ჩვენ გვიკრძალავენ მოწევას და თვითონ ეწევიან?

სასწრაფოდ შექმენით საპარლამენტო კომისია და სასწრაფოდ გამოიძიეთ ეს თავზარდამცემი ამბავი, რომელიც თავისუფლად შეიძლება შეფასდეს, როგორც დივერსია.

სხვა ნუ ანდობთ საქმის გამოძიებას, თქვენ თვითონ ჩაუდექით სათავეში დივერსანტების გამოვლინებას და იხსენით პარლამენტის ღირსება.

გახსოვთ ფილმი „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“?

იმ გუგულის ბუდეს ვინ გადაუფრინა, არ ვიცი, მაგრამ ამ გუგულის (გვარად მაღრაძის) ბუდეს რომელმა ისეთმა არწივმა გადაუფრინა, რომ ქ-ნი გუგული ისევ პარლამენტში ზის და ისე უბრიალებს თვალებს საწყალ მწეველებს, თითქოს მის კერძო პლანტაციაში მოწეულ „მახორკას“ აფუილებდნენ.

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“

ამ ცოტა ხნის წინათ გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა ლიტერატორის, მთარგმნელისა და პუბლიცისტის **ზაალ ბოტკოველის** წიგნი „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“.

წიგნში შესულია სხვადასხვა წლებში ავტორის მიერ დაწერილი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები და პუბლიცისტური სტატიები.

წიგნის რედაქტორის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „...მის თვალწინ იქმნებოდა წინარე საუკუნის 70-იანი წლების ის ქართული მხატვრული ლიტერატურა, რომელმაც სრულიად ლიტერატურული სამყარო აალაპარაკა ქართული მწერლობის ფენომენზე.

ზაალ ბოტკოველი, სამწუხაროდ, იმ ავადსახსენებელ ჟამსაც შეესწრო, როდესაც ქართული მწერლობა დედაეკლესიასთან, ქართულ უნივერსიტეტთან და სხვა უმნიშვნელოვანეს ეროვნულ ინსტიტუტებთან ერთად არნახული, გაუგონარი, არ მოვერიდებით, იმის თქმას, დიახაც, რომ სატანისტური ძალების შემოტევების, დამცირებისა და ქვების სროლის სამიზნედ იქცა. საბედნიეროდ, ქართულმა ეროვნულმა სხეულმა მეტ-ნაკლებად გაუძლო ჯოჯოხეთის მოციქულთა პირველ შემოტევას და გაიმარჯვა ამ უთანასწორო ომში. ბატონი ზაალი მაშინ საქართველოს მწერალთა კავშირის პრესცენტრის ხელმძღვანელი იყო და მისი არაერთი წერილი გამოქვეყნდა იმდროინდელ პერიოდიკაში...“.

წერილები ეძღვნება — ჭაბუა ამირეჯიბს, შოთა ნიშნიანიძეს, რეზო ინანიშვილს, გივი გეგეჭკორს, გურამ ფანჯიკიძეს, ნოდარ დუმბაძეს, მანანა ჩიტიშვილს, ჯანსუღ ღვინჯილიას...

წიგნის რედაქტორია მაყვალა გონაშვილი, მხატვარი გიორგი წერეთელი, აქვე იხილავთ მურმან ჩაჩუასა და დემიკო ლოლაძის ფოტოებს.

დარწმუნებული ვართ, მაღალი გემოვნების ქართველი მკითხველი დიდი ინტერესით გაეცნობა წინამდებარე გამოცემას.

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

– რა წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას?

– საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 274-ემუხლის მიხედვით, სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია განისაზღვრება სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობით.

* * *

– ვინ შეიძლება მიღებულ იქნას ან არ იქნას მიღებული საჯარო სამსახურში?

– კანონის „ საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-15 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 21 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.

ამავე კანონის მე-16 მუხლის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს, აქვს საშუალო განათლება მაინც და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.

ამავე კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, საჯარო სამსახურში არ მიიღება პირი, თუ იგი:

ა) ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს

ნასამართლობა;

ბ) იმყოფება გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში;

გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია ქმედუუნაროდ ან შეზღუდული

ქმედუნარიანობის მქონედ;

დ) სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;

ე) სამედიცინო დასკვნის თანახმად მისი ჯანმრთელობა არ აკმაყოფილებს მოცემული

თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს;

ვ) თანამდებობის დაკავების შედეგად უშუალო სამსახურებრივი ზედამხედველობით

უკავშირდება მშობელს, მეუღლეს, დას, ძმას, შვილს ან მეუღლის დას, ძმას, მშობელს;

ზ) არის უცხო ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტი, კანონით ან საერთაშორისო

ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა.

* * *

– როგორია დახმარება საჯარო მოსამსახურის დაღუპვის ან დაინვალიდების შემთხვევაში?

– კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 49-ე მუხლი ითვალისწინებს დახმარებას საჯარო მოსამსახურის დაღუპვისას ან დაინვალიდებისას.

1. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით მოსამსახურეზე

თავდასხმის შედეგად მისი დაღუპვის შემთხვევაში დაღუპულის ოჯახს ეძლევა ერთჯერადი

დახმარება 10 000 ლარის ოდენობით.

2. მოსამსახურეს, რომელმაც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან

დაკავშირებით თავდასხმის შედეგად მიიღო სხეულის დაზიანება, რის შედეგადაც ცნობილ იქნა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირად ან დასახიჩრდა, ეძლევა ერთჯერადი დახმარება არა უმეტეს 5 000 ლარისა.

3. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის

სამინისტროს სპეციალური წოდების მქონე თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით.

4. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის

სამინისტროს სპეციალური წოდების მქონე თანამშრომლის დაჭრის/დასახიჩრების ან მისთვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში თანამშრომელს სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად მიეცემა ერთჯერადი დახმარება არა უმეტეს 7 000 ლარისა.

* * *

– რა იგულისხმებაამომრჩევლის მოსყიდვაში და როგორ ისჯება?

– სისხლის სამართლის კოდექსის 1641 -ე მუხლის მიხედვით, ამომრჩევლის მოსყიდვაში იგულისხმება არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე ამომრჩევლისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასებში გადაცემა ან მიყიდვა, უფასო მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან არჩევნებში ხმის მიცემისგან თავის შეკავების მიზნით, გარდა საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე

ჯანსაღი კვების პრინციპები

ჭამეთ ხშირად

თუ თქვენ ჭარბი წონა გაქვთ, მიირთვით საკვები არანაკლებ 4-ჯერ დღეში. საკვების ასეთი გადანაწილება დაგიცავთ შიმშილის გრძნობისა და ნაყროვანებისგან.

პროდუქტები შეუზღუდავი რაოდენობით

შეგიძლიათ მიირთვათ შეუზღუდავი რაოდენობით უცხიმო ხორცი (საქონლის, ფრინველის ხორცი კანის გარეშე), ზღვის პროდუქტები. ყველა ბოსტნეული კარტოფილისა და სიმინდის გარდა. 4%-იანი ხაჭო, უცხიმო ყველი, 1%-იანი კეფირი, ტომატის წვენი, მინერალური წყალი და ჩაი.

გამორიცხეთ

კვების რაციონიდან ამოიღეთ ცომეული — საფუარიანი და ფენოვანი, კარაქი, არაჟანი, რძე, 1%-იანზე მაღალი ცხიმის შემცველობის კეფირი, შებოლილი ძეხვეული, ლორი, ღორის ხორცი, ყვითელი ფერის ყველი, ბანანი, ყურძენი, მზესუმზირა, თხილი და ნიგოზი, შაქრის შემცველი წვენები და სასმელები, ალკოჰოლი.

ფიზიკური აქტივობა

დაკლებული წონის სტაბილურად შენარჩუნებისთვის აუცილებელია ფიზიკური აქტივობის დონის მომატება. რეგულარული ფიზიკური დატვირთვა ზრდის ინსულინის მიმართ მგრძნობელობას, დაბლა სწევს ინსულინის დონეს იმ ადამიანებში, ვისაც ჰიპერინსულინემია აქვს და აწესრიგებს არტერიულ წნევას. რეკომენდებულია ყოველდღიურად 30-წუთიანი ზომიერი ფიზიკური აქტივობა (სწრაფი სიარული, ცურვა, ველოსიპედით სიარული, ცეკვა). ეს აქტივობები 35-40 %-ით ამცირებს დიაბეტისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს.

თუ თქვენ სწორად იკვებებით, შეინარჩუნებთ ნორმალურ წონას და ზომიერ ფიზიკურ აქტივობას მიმართავთ, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შიში ნუ გექნებათ!

ტაქსი გამოძახებით
0322 300 308; 0322 450 450; 558 300 088
დაბალი ტარიფები, მაღალკვალიფიციური, კომფორტული მომსახურება 24 სააათის განმავლობაში

გავთავისუფლდეთ შხამებისგან

ორგანიზმის შხამებისგან გაწმენდა თანამედროვე ცხოვრებაში აუცილებელია, რადგან საკვებში, რომელსაც ვიღებთ, ბევრი მავნე ნივთიერება შედის, რომელთა გამოდევნას ორგანიზმი დამოუკიდებლად ვერ ახერხებს. ამ მიზნით პრეპარატების გამოყენება ხშირად სავადმყოფოში მოხვედრით მთავრდება. ბევრისთვის როდია ცნობილი, რომ ჩვეულებრივ პრდუქტებს ნებისმიერ წამლებზე უკეთ შეუძლია ორგანიზმის გაწმენდა ისე, რომ არავითარი ზიანი არ მიადგეს მას.

კომბოსტო

კომბოსტოში დიდი რაოდენობით არის საკვები ბოჭკოები, რომლებიც აერთიანებს მძიმე მეტალებსა და ტოსქინებს და ამგვარად ნაწლავებიდან გამოდევნის მათ. კომბოსტოში შედის ორგანული მჟავები, რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ საჭმლის მონელებაზე და აუმჯობესებენ მიკროფლორას. კომბოსტოში შედის ასევე იშვიათი ვიტამინი U, რომელიც საშიშ ნივთიერებებს კლავს და მონაწილეობს ვიტამინების სინთეზში და წყლულების შეხორცებასაც უწყობს ხელს.

გამოიყენება: უმად, წნილის და წვენის სახით.

არტიშოკი

არტიშოკი აუმჯობესებს ღვიძლის ფუნქციას, რაც ხელს უწყობს ტოქსინებისა და სხვა მავნე ნივთიერებების გამოდევნას ორგანიზმიდან, აძლიერებს ნაღველის გამოყოფას, რაც აუმჯობესებს საკვების მონელებას და სასარგებლო ნივთიერებების შეწოვას.

გამოიყენება: უმად, სალათებში ან აფთიაქში შეძენილი ექსტრაქტის სახით.

წითელი ჭარხალი

წითელი ჭარხალი ორგანიზმის საუკეთესო გამწმენდი საშუალებაა. მის შემადგენლობაში შედის უჯრედისი, სპილენძი, ფოსფორი, ვიტამინი C და მთელი რიგი სასარგებლო მჟავები, რომლების აუმჯობესებენ საჭმლის მონელებას და ნაწლავებში მავნე ბაქტერიებს ანადგურებენ. მის შემადგენლობაში შედის ასევე ლიპოტროპული ნივთიერება ბეტაინი, რომელიც აიძულებს ღვიძლს, გამოდევნოს ტოქსინები. ჭარხალი ეხმარება ორგანიზმს გაახალგაზრდავებაში, რადგან მასში დიდი რაოდენობით შედის ფოლიუმის მჟავა, რომელიც ახალი უჯრედების წარმოქმნას უწყობს ხელს და კვარცი, რომელიც აუმჯობესებს კანის, თმისა და ფრჩხილების მდგომარეობას.

გამოიყენება: მოხარშული, სხვადასხვა სალათებში ან წვენის სახით.

ნიორი

ნიორის ერთ კბილში 400-ზე მეტი სასარგებლო კომპონენტი შედის. ისინი წმენდენ სისხლძარღვებს, ამცირებენ სისხლში ქოლესტერინის დონეს და კლავენ ტვინის კიბოს მიზეზს — მულტიფორმული გლიობლასტომის უჯრედებს, ასევე ანადგურებენ კუჭის წყლულის გამომწვევ ჰელიკობაქტერს, ჭიებს, დიფტერიისა და ტუბერკულოზის ჩხირებს.

გამოიყენება: უმად სხვადასხვა სალათებში.

ხახვი

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ხახვში შედის, ფიტოციდებია, რომლებიც წამებში ანადგურებენ ბაქტერიებისა და სოკოების უდიდეს ნაწილს. ხახვი ასევე ეხმარება ადამიანს საკვების მონელებასა და სასარგებლო ნივთიერებების ათვისებაში და აუმჯობესებს მადას. ხახვში დიდი რაოდენობით არის გოგირდი,

რომელიც აუვნებლებს და ანადგურებს ყველაფერ მავნეს, რაც ორგანიზმში არსებობს.

გამოიყენება: უმად, სალათებში, სპირტის ნაყენის სახით.

ვაშლი

ვაშლი მასში შემავალი პექტინისა და უჯრედისის წყალობით, რომლებიც „ერთად კრავენ“ შლაკებსა და ტოქსინებს, აწესრიგებს მთელი საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობას. ასევე აუმჯობესებს მადას, ანადგურებს A ტიპის გრიპის, ასევე დიზინტერიის და ოქროსფერი სტაფილოკოკის ვირუსებს.

გამოიყენება: უმად კანიანად, გახეხილი, წვენის ან კომპოტის სახით.

ავოკადო

სამწუხაროდ, ბევრისთვის როდია ცნობილი ამ სამხრეთული ხილის სასარგებლო თვისებების შესახებ. ავოკადოში შედის არაჩვეულებრივი ნივთიერება გლუტატიონი, რომელიც ძალიან ბევრ საშიშ კანცეროგენს ბლოკავს და ღვიძლს გატვირთავს. ამასთანავე, ავოკადო აწესრიგებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, ხელს უწყობს საჭმლის მონელებასა და ორგანიზმს ჟანგბადით ამარაგებს.

გამოიყენება: უმად, ჩირის ან „ზეთის“ სახით.

მოცვი

მოცვში დიდი რაოდენობით შედის ასპირინი, რიმელიც ანეიტრალებს ქრონიკული ანთების დამანგრეველ გავლენას ორგანიზმზე და ამცირებს ტკივილს. დღეში 330 გრ ამ პროდუქტის მიღება დნმ-ის დაზიანებისგანაც დაგიცავთ. მოცვი ბუნებრივი ანტიბიოტიკია და შეუძლია შარდსასქესო ორგანოების ინფექციებისგან დაცვა. შეიძლება მისი გამოყენება, როგორც ვირუსების საწინააღმდეგო საშუალებისა. მასში შემავალი პროანტოციანიდების გამო ძალზე ეფექტური პროდუქტია დეტოქსიკაციისთვის.

გამოყენება: უმად, ან მორსის სახით.

შტოში

შტოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბუნებრივი ანტიბიოტიკი და ვირუსების საწინააღმდეგო საშუალებაა. ის ასუფთავებს შარდის ბუშტს და საშარდე გზებს მავნე ბაქტერიებისგან. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ შტოში წარმატებით ებრძვის კიბოს უჯრედების წარმოქმნას და სისხლძარღვებს თრომბებისგან ასუფთავებს.

გამოყენება: უმად, შესაძლოა შაქართან ერთად, მორსის ან მურაბის სახით.

ბაბუაწვერა

ბაბუაწვერაში ბევრი სასარგებლო ნივთიერება შედის, რომლებიც აუცილებელია მათთვის, ვინც ხშირად მიირთმევს დამუშავებულ კვების პროდუქტებს. ბაბუაწვერას ფესვი დადებით ზემოქმედებას ახდენს ღვიძლსა და კუჭქვეშა ჯირკვალზე, აუმჯობესებს ტოქსინების ფილტრაციას და სისხლიდან მათ გამოდევნას.

ბაბუაწვერას გავლენა ღვიძლთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში დოკუმენტურად არის დადასტურებული აზიელი და ამერიკელი მეცნიერების მიერ.

ბაბუაწვერა მინერალებისა და ფიტონუტრიენტების მდიდარი წყაროა. ისინი შეიცავენ სუპერ-ოქსიდანტებს, რომლებიც ხელს უწყობენ კუჭ-ნაწლავის გაწმენდის პროცესს.

გამოყენება: უმად სალათებში.

ანანასი

ეს ტროპიკული ხილი შეიცავს ფერმენტ ბრომელაინს, რომელიც ასუფთავებს სწორ ნაწლავს და აუმჯობესებს საჭმლის მონელებას. ეს ნივთიერება აუმჯობესებს სისხლის კოაგულაციაას და სიმსივნის ზოგიერთი სახეობის ზრდას აფერხებს.

როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, ანანასის დაქუცმაცებული ღეროებიდფან გამოყოფილ ორ მოლეკულას შეუძლია შეაჩეროს კიბოს უჯრედების ზრდა.

გამოიყენება: უმად, სალათებში ან კომპოტის სახით.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

სახალხო მკურნალი
(მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63

საქართო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ სარჩილავა

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com